სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 31 მარტი 2005 №70 (2393) ფასი 50 თეთრი

GEORGIA - TURKEY

2 - 5

ჩვენ მკურნალობა გვჭირდება!

საქართველოს ნაკრები დევაძესავით დაშავდა



გადრი კეთილაძის ფოტოები

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. მეორე ჯგუფი

თბილისი. 30 მარტი. 20.30 საათი. ფიხტილ ფესხი. 20 000 (ტევადობა 25 600)

საქართველო 2:5 თურქეთი

0:1 თოლგა (12), 1:1 ამისულაშვილი (13), 1:2, 1:3 თეკე (19, 36), 2:3 იაშვილი (40), 2:4 ალი (73), 2:5 თუნქჩაი (90)

საქართველო: დეგაძე (ლომაია 21), ხიზანიშვილი (სალუქვაძე 19), მეგავნაძე, კალაძე, ამისულაშვილი, ცქიტიშვილი (ბურდული 76), ასათიანი, გოგუა, კობიაშვილი, იაშვილი, აშვეთია,
სათადარიგონი: დემეტრაძე, ჯაკობია, შაშიაშვილი, კვირკველია
მწვრთნელი: ალენ ჟირესი

თურქეთი: რუშთუ, თოლგა, ტორმანი, ემრე, უმითი, თეკე (პალილ ალტინტოპი 89), ბაშთურქი (შუსეინი 46), ჰამიტ ალტინტოპი, ალი, კარადენიზი, ათეში (თუნქჩაი 64)
სათადარიგონი: ომერი, ბიულენთი, სერკანი, აიპანი
მწვრთნელი: ერსუნ იანალი

გაფრთხილება: გოგუა (11), ალი (28), თოლგა (30), რუშთუ (40), გოგუა (83)

გაძევება: გოგუა (83)

მსაჯი: ტ. ჰაუგე; ა. სანდეტი, ს. ჰოლეიკი; ტ. სკიერვენი (ნორვეგია)

ფიფა-ს კომისარი: ბ. ალაია (ფინეთი)

ალექსანდრ ფეფელაშვილის ფოტო

მუსიე ავანტიურა

კიდევ უფრო დაჩიავებულ ჟირესს პორტფელი მაინც შერჩება

დავით თავართქილაძე

ალენ ჟირესმა გუშინ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ავანტიურისტული ფეხბურთი ათამაშა და ანტირეკორდიც დაამყარა — აქამდე ხუთი გოლი ნაკრებს შინ არ გაუშვია. ეს საქართველოს უმთავრესი გუნდის მეორე დიდი ანგარიშით მარცხი იყო საკუთარ მოედანზე, პირველად ნორვეგიელებმა ამოგვცხეს აბრაგანი 1999 წლის 28 აპრილს, როცა ეროვნულ სტადიონზე 4:1 მოგვიგეს. იმ თამაშს მწვრთნელის შეცვლა მოჰყვა — ვლადიმერ გუცაევის ნაცვლად გუნდი იოჰან ბოსკამპმა ჩაიბარა.

ალექსანდრ ფეფელაშვილის ფოტო

ამჯერად მწვრთნელის შეცვლა ითითქმის გამორიცხულია, ისეთ უბადრუკ სიტუაციაში აღმოჩნდით, რომ მწვრთნელის შეცვლა აქტუალური არც არის — არ გვინდა უკან დაბრუნება და კვლავ „ბრუზინი“ მწვრთნელი, ხოლო კიდევ ერთი უცხოელი ამ ეტაპზე არ გამოვა — ჯერ ერთი, მწვრთნელთა ხშირი ცვლა, ზოგადად, ცუდია და მეორე კი ის, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ამ ეტაპზე ჟირესზე სახელიანი და ძვირადღირებული მწვრთნელის მოყვანას ვერ შესწვდება და ალბათ ამის სურვილიც არ აქვს.

გუშინ თბილისში ჟირესის მეგობარი მიშელ პლატინი გვესტუმრა, სწორედ მან ურჩია მერაბ ჟორდანიას თავისი მეგობრის, ჟირესის კანდიდატურა. ჟორდანიამაც ანრი მიშელს ჟირესი ამჯობინა. ის ჟირესი, ვინც გამოცდილებით, ქარიზმატულობით და სამწვრთნელო მონაგარით მიშელთან ახლოსაც ვერ მივა. განა ვინმეს სჯერა, რომ ჟორდანია, უბრალოდ, რისკზე წავიდა? პლატინი უეფას პრეზიდენტობაზე იქარჩება, ანუ საჭირო კაცია და მის რჩევას ანგარიში უნდა გაუწიოთ — ნუთუ, მართლა ასე წყდება ნაკრების მწვრთნელის საკითხი?

ჟირესს უხდება პორტფელით სიარული, ეს სოლიდურობას სძენს ჩია ფრანგს, ვისაც წინასათურქეთო პრესკონფერენციებზე და ვარჯიშებზე ფითრი მოსდებოდა. ჟირესი მართლაც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა, გუნდის რამდენიმე სახელიან და გამოცდილ ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკა აკლდა, ზოგიც არასათანადო ფორმაში იყო, საბერძნეთთან წავაგეთ და ოთხ დღეში თურქეთი გველოდა — ყველაფერ ამას ჟირესმა ვერ გაუძლო, გუნდს ავანტიურის გარდა ვერაფერი მოახვია თავს.

ავანტიურა ხანდახან ამართლებს და ის ზოგადად ცუდი არ არის, მაგრამ ცუდია, როცა მწვრთნელი პოპულისტურ გადაწყვეტილებას იღებს. შოთა არველაძე საბერძნეთთან უხეშად შეცდა, გულშემატკივარმა მას ქოქოლა დააყარა და უსტვინა, ჟირესმაც შოთა სათურქეთო განაცხადში არ შეიყვანა.

გუშინ ლევან კობიაშვილის და კახა კალაძის შეცდომებს მოჰყვა გოლები და ამიტომ მათაც ასევე უნდა მოექცეს ჟირესი? ნაკრები არც არველაძით და არც არავისით იწყება და მთავრდება. მწვრთნელმა წონასწორობა და პრინციპულობა არ უნდა დაკარგოს.

...რა კარგი იყო, პირველი გაშვებული გოლის შემდეგ კაპიტანმა კახა კალაძემ მყის საკუთარ თავზე რომ აიღო თამაში, კუთხური მოინაგრა და გოგიტა გოგუას ჩაწოდებულს ალეკო ამისულაშვილმა საგოლე თავური შეაგება — ეს ამისულაშვილის პირველი სანაკრებო გოლი იყო.

...კარგია, რომ ეროვნულ გუნდს გამოუჩნდა გოგიტა გოგუა, ვინც გულშემატკივარს უკვე ძალიან შეუყვარდა. გოგუა ჭილყვავ ქომაგს თავშეკავებას, ნორგვარი საგნების მინდორზე არსროლისკენ მოუწოდებდა, ოან გულშემატკივარს აგულიანებდა, მოედანზე და ტრიბუნაზე ცეცხლს ანთებდა, თუმც მსაჯს ორი გაფრთხილება გამოსტყუა და გაძევეს.

...კარგი იყო, რომ 1:3-ის შემდეგ საქართველოს ნაკრები კვლავ ძლიერად იბრძოდა, კარგი იყო, რომ მეორე ტაიმის დასაწყისიდან მეტოქეს ტემპი და აგრესია შესთავაზა.

მაგრამ არ იყო კლასი, დაბალი იყო თითქმის ყველა ფეხბურთელის მარგი ქმედების კოეფიციენტი, არ იყო ჭკვიანური თამაში, გამოცდილ და კლასიან ფეხბურთელებს რომ შეშვენით, არ იყო ის ჩასაფრება მეტოქის შეცდომებზე, რაც მხოლოდ კლასიანი ფეხბურთელების და გუნდის ხვედრია.

...არ იყო ის მალხაზ ასათიანი, ლამის მთელ გუნდს მხრებზე რომ იკიდებდა და ყოჩობდა, ასათიანი ამდენი წუნით აქამდე არ ვყოფილა.

ოცნება უწყინარი ტრანსკონტინენტალურია, კაცს არ კლავს, მაგრამ არც ნაკრები უნდა იყოს ოპიუმი ხალხისთვის — ყოველი შესარჩევი ციკლი ახალი იმედით იწყება, ვაზაფხულზე კი საქართველოს ნაკრები უკვე გამოუსადეგარია ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის — ასეთი ტრაგიკომიკური ფიფა ჟირესმაც ვერ შეცვალა.

უკრაინა 1:0 დანია

საბერძნეთი 2:0 ალბანეთი

უკრაინა	7	5	2	0	12:3	17
საბერძნეთი	7	4	2	1	12:6	14
თურქეთი	7	3	3	1	13:7	12
დანია	7	2	3	2	10:7	9
ალბანეთი	7	2	0	5	3:11	6
საქართველო	6	1	2	3	8:13	5
ყაზახეთი	5	0	0	5	2:13	0

ალექსანდრ ფეფელაშვილის ფოტო

ბადრი ყალიფლაძის ფოტო

პრესკონფერენცია

ერსუნ იანალი: ჯგუფში პოზიცია რომ გაგვემყარებინა, სამი ქულა აუცილებლად გვჭირდებოდა და მიხარია, რომ ეს შევძელით. თამაში საინტერესოდ დაიწყო, გუნდები ერთმანეთს არ ინდობდნენ. საქართველო უკან დამხევი არ ჩანდა. თან, როცა ანგარიში გაათანაბრეს, გაგვიჭირდა, ცოტა დავიბენით, თუმცა საბოლოოდ მაინც მოვიგეთ. მადლობას ვუხდი ყველას, ფეხბურთელებსაც და გულშემატკივრებსაც.

— რატომ შეცვალეთ ბაშთურქი, ვინც პირველ ტაიმში ერთ-ერთი საუკეთესო იყო?

— მან ტრავმა მიიღო და გართულებებს მოვერიდეთ.

— საქართველოსგან ასე სუსტ თამაშს თუ ელოდით?

— არა, ძნელ თამაშს ველოდი. ისე, რაღაცნაირი, უცნაური ფეხბურთი იყო. თითქოს დამაჯერებლად ვიგებდით, მაგრამ ყოველ წუთს შეიძლებოდა, სიტუაცია საპირისპიროდ შეცვლილიყო.

— ვინ მიგაჩნიათ ჯგუფიდან გასვლის მთავარ კონკურენტებად?

— ამაზე ახლა არ მიფიქრია, არც ვიცი, როგორ ითამაშეს დღეს ჩვენმა მეტოქეებმა. მთავარია, რომ ჩვენ მოვიგეთ.

ალენ ჟირესი: თავიდანვე კატასტროფულად დაიწყო ყველაფერი. ტრავმების გამო ორი ფეხბურთელი გამოგვაკლდა და ამან გეგმები მნიშვნელოვნად აგვირია. რა გამოვიდა? დიდი ანგარიშით დავმარცხდით, რითაც ძალიან გაღიზიანებული ვარ.

— როგორ შეადარებთ საბერძნეთთან და თურქეთთან მატჩებს?

— განსხვავება ძალიან დიდია, თან ეს გუნდებიც ხომ ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. თურქები უფრო სწრაფები და მოქნილები არიან.

— დღევანდელ თამაშზე საბერძნეთთან წაგებამ რამდენად იმოქმედა?

— ვფიქრობ, ეს არაფერ შუაშია. ფსიქოლოგიური პრობლემები არ გვაწუხებდა. თან ამაზე ბიჭებთან საგანგებოდ ვიმუშავეთ. ჩვენი მარცხის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ კონტრშეტევაზე თამაში არ გამოგვივიდა, რამაც თურქებს ხელ-ფეხი გაუხსნა.

— ჯგუფიდან გასვლის შანსი, ფაქტობრივად, აღარ გვაქვს. ახლა რა იქნება ნაკრების მიზანი?

— მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის შანსი მინიმუმამდე შეგვიმცირდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკრებს მომავალი არა აქვს. პირიქით, ახლა უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ და დავამტკიცოთ, რომ თამაში შეგვიძლია.

— რას აპირებთ ამ ორი მარცხის მერე?

— პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, მაგრამ წაგება მარტო ჩემი ბრალი არ არის. ახლა ბიჭებთან ერთად უნდა დავსხდეთ და მოვიფიქროთ, როგორ შეიძლება სიტუაციის გამოსწორება.

— გოგუას თამაშზე რას იტყვით?

— მხოლოდ დადებითს. საცოდაობა იყო, ასეთი თამაშის მერე გოგუას გაძევება. კარგი იქნებოდა, საქმე წითელ ბარათამდე არ მისულიყო.

კახა შალამბერიძე



პრეზიდენტმა პლატინის პრეზიდენტობა უსურვა

თბილისში მეგობრული ვიზიტით ჩამოსული ფიფას აღმასკომის წევრი და უეფას პრეზიდენტობის კანდიდატი, ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი მიშელ პლატინი გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო. ეს მათი მეორე შეხვედრა იყო, პირველი საცნობობა კი შარშან პარიზში შედგა.

პრეზიდენტმა ფრანგს ნახევარი საათი დაუთმო, მისსავე ენაზე ესაუბრა და უეფას საპრეზიდენტო არჩევნებში წარმატება უსურვა.



ბადრი კვირალაძის ფოტო

კონსტრუქცია რეკონსტრუქციამდე

სტადიონი, სასტუმრო და ბაზა ეპლეს კომპიუტერში

ფაქტობრივად გადაწყვეტილი ამბავია, რომ ისანში მდებარე „ოლიმპის“ სტადიონს უახლოეს მომავალში რეკონსტრუქცია ჩაუტარდება.

გეხსომებათ, ამ საქმეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ძველი მეგობარი ერიხ ეპლე ჩაუდგა სათავეში. ეპლე ახლა ერთ-ერთი ბრიტანული სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელია და „ოლიმპის“ სტადიონის გარდა სფფ-ის ძველი ოფისის და ეროვნული ნაკრების ბაზის კეთილმოწყობასაც აპირებს.

გეგმა ამგვარია: „ოლიმპს“ ოთხივე მხრიდან აუშენებენ ტრიბუნებს და მთლიანობაში 10-15-ათასიანი სტადიონი გამოვა, ოფისი სასტუმროდ გადაკეთდება, ბაზაზე კი შედარებით მცირე სამუშაოებია ჩასატარებელი.

ეპლე უახლოეს დღეებში თბილისში ჩამოვა და ზემოაღნიშნული პროექტების კომპიუტერულ ვერსიებს ჩამოიტანს. თუ ქართული მხარე ამ პროექტებით კმაყოფილი დარჩა, მაქსიმუმ ერთ წელიწადში თანამედროვე სტადიონი გვექნება.

შეგახსენებთ, რომ „ოლიმპი“ სადღეისოდ 3 ათას მაყურებელს იტევს, მინდვრის საფარით კი საქართველოში აშკარად პირველობს.

ძახა შალამბერიძე

კორეა გვინდა, განა რა საჭიროა...

ბადრი კვირალაძის ფოტო

განელი დუგლას ადომაკო „თბილისში“ ვერ მოეწყო. 19 წლის ფორვარდმა ლუის ცაკარიასის გუნდში ბოლოს სამიოდ დღის წინ ითამაშა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში, თუმც კლუბმა მისი სამსახური აღარ ისურვა.

სამაგიეროდ, ცაკარიასი ძალიან აქებს ახალ კორეელებს — გერმანული მეორებუნდესლიგელი „ალენიდან“ ჩამოსულ თავდამსხმელ კიმ სუნგ იუსა და ნახევარმცველ კიმ კიონგ ჩიუსთან კონტრაქტები დღეს გაფორმდება.

მოკლედ, გადაწყვეტილია, რომ ამ სეზონში თბილისელები სამი კორეელით ითამაშებენ.

ილია ნანოგაფვილი

სპარსეთში ქართველობა გასამდა



ბურაკ დულუბეგაშვილის ფოტო

ირანის შარშანწინდელ ჩემპიონ ისპაჰანის „სეპაჰანში“ ჯაბა მუჯირი დაბრუნდა და მალე თამაშსაც შეძლებს.

შვიდი თვის წინ მუჯირს მუხლის ჯვარედინი იოგები გაუწყდა და ოპერაცია შარშან, სექტემბერში გაიკეთა კიევში.

„უკვე ოთხი დღეა, რაც „სეპაჰანში“ ვვარჯიშობ და კიდევ ორი კვირა დამჭირდება ფორმის აღსადგენად“ — გვითხრა მუჯირმა.

ირანის ჩემპიონატში მუჯირის გარდა კიდევ ორი ქართველი თამაშობს — არჩილ სახვაძე „საბაში“ და აქვსენტი გილაური „ესტეგლალში“

„სეპაჰანი“ კი მე-12 ადგილზეა თექვსმეტგუნდა სპარსულ ლიგაში. გუნდს ახალი მწვრთნელი, ხორვატი სტანკო პრაკლუპოვიჩი დაუნიშნეს და მისგან სიტუაციის გამოსწორებას ელიან.

„კონტრაქტი „სეპაჰანთან“ სეზონის ბოლოს მეწურება, კლუბს მისი გახანგრძლივება სურს, მაგრამ ფინანსური საკითხი ჯერ ღიადაა დარჩენილი. ტრავმის გამო საკმაოდ ბევრი გამიცდა და ჯერ არ ვიცი, ჩემთვის რამდენად სარფიან ხელშეკრულებას შემომთავაზებენ“ — გვამცნო მუჯირმა.

დავით თავართქილაძე

იმედაძე, როგორც იქნა...

ზესტაფონმა ტრანსფერები შეაჩერა



ბადრი კვირალაძის ფოტო

გია იმედაძე

ამ სეზონში უკვე წესად იქცა, რომ „ზესტაფონზე“ სალაპარაკო თემა არ ილევა. წლეულს, ფეროელებმა ჩემპიონატ-თასიანად ათმატჩიანი წაუგებელი სერია „გაჭიმეს“ და სულ ზევით-ზევით მიიწევენ. თემურ მახარაძის გუნდი იმერული უამინდობის გამო თბილისში ემზადება, 2 აპრილს კი, 26-ე ტურის მატჩში ქვეყნის ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ ხვდებიან.

ამასობაში „ზესტაფონმა“ ორ ფეხბურთელს — ლევან ფურთუხიასა და გია იმედაძეს — გაუფორმა კონტრაქტი.

ფურთუხია „მცხეთაში“ თამაშისას გეხსომებათ, ერთხანს „ზესტაფონშიც“ იყო, თუმც ბოლოს რუსეთის ერთ-ერთ ქვედალიგელ კლუბში აპირებდა ჩარიცხვას. იმედაძე კი უკვე ორ თვეზე მეტია, იმერულ გუნდში ვარჯიშობს და მისი ოფიციალურად გაზესტაფონელება თითქმის გადაწყვეტილიც იყო. ერთ დროს იოჰან ბოსკამპის ჯილას ზურაბ იონანიძესთან, ზაზა ზირაქიშვილთან და ბექა გოცირიძესთან კონკურენცია მოუწევს.

როგორც „ზესტაფონის“ გენერალურმა დირექტორმა დავით აბაშიძემ გვითხრა, მურთაზ ბურნაძესთან და მოლდოვური „შერიფის“ მავან ბრაზილიელთან მოლაპარაკებები ჩაიშალა. აბაშიძისვე თქმით, ფეროელები ახალი ფეხბურთელის შემატებას საამსეზონოდ აღარ აპირებენ.

ილია ნანოგაფვილი

კოკას ვერშემდგარი ირანი



ბადრი კვირალაძის ფოტო

კოკა მიკუჩაძე (მარცხნივ) ამ სეზონში „კოლხეთისთვის“ გაიტანს

„თბილისის“ ყოფილი თავდამსხმელი კოკა მიკუჩაძე ფოთის „კოლხეთს“ დაუბრუნდა და სეზონის ბოლომდე იქ ითამაშებს. მიკუჩაძე ორიოდ კვირის წინ ირანის მესამეადგილოსან „ესტეგლალში“ წავიდა, თითქოს კონტრაქტიც უნდა გაეფორმებინა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

„ირანელებმა თავადაც არ იცოდნენ, რა უნდოდათ. ახლა „კოლხეთში“ ვარ და რაღაც წინადადებებს კიდევ ველოდები“ — გვითხრა კოკამ, რომელიც ზღვისპირულ კლუბში მაისამდე სათამაშო პრაქტიკის ვაი-ი დარჩება, მერე კი, ეგებ, უცხოეთისკენ გაიკვალოს გზა.

ილია ნანოგაფვილი

მაურინიუმ ფირფიტა გადააბრუნა

„ჩელსის“ მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ პირველი ჩვენება უარყო. პორტუგალიელმა თქვა, პირადად მე არ დამინახავს, ფრანკ რაიკარდი ანდერს ფრისკის ოთხში შევიდა თუ არაო. არადა, იმ სკანდალური მატჩის („ბარსელონა“ — „ჩელსი“) შემდეგ მაურინიუ ამტკიცებდა, ჰოლანდიელი ფრისკს ელაპარაკებოდაო

მაურინიუ-ფრისკის საქმეს უეფა დღეს განიხილავს

„მოედანზე ან მის მიღმა თუ რამე მოხდა ისეთი, რომ მე ვერ ვნახე და ჩემი თანაშემწეების პირით გავიგე, მათ ვუჯერებ, რადგან იმ ხალხთან ერთად ვმუშაობ, რომლებსაც ვენდობი“ — განაცხადა „ჩელსის“ თავკაცმა.

ახლა გავიხსენოთ, თუ რა თქვა მაურინიუმ პორტუგალიურ გაზეთ, „დეს რეკორდთან“ ინტერვიუში: „როცა რაიკარდი ფრისკის ოთახში შესვლისას დავინახე, გამიკვირდა, მაგრამ როცა მეორე ტაიმის დასაწყისში ჩვენ დიდი დროგბა გაგვიძევეს, ეს უკვე აღარ გამკვირვებია“.

უეფას პრესმდივან უილიამ გალიარდს კი ეუცნაურა, ჟოზე მაურინიუმ პირველი ჩვენება რომ უარყო: „უეფამ საქმე იმ განცხადების საფუძველზე აღძრა, რომელშიც წერია, რომ მაურინიუმ თავად ნახა ფრისკის ოთახში შესული რაიკარდი. ახლანდელი მისი ჩვენება კი ძველს ეწინააღმდეგება“.

ისრაელის დედაქალაქ თელ ავივში ლექციების წასაკითხად ჩასულმა ჟოზე მაურინიუმ აღნიშნა: „ვიცოდი, უეფა ჩემს წინააღმდეგ რომ ამხედრდებოდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ თანაშემწეებს ვენდობი და ძალაუნებურად ისეთ საქმეში აღმოვჩნდი გარეული, რომელშიაც არ უნდა გავრეულიყავი. მიუხედავად ამისა, უკან მაინც არ დავიხევ“.

უეფა ჟოზე მაურინიუს საქციელს ხვალ, სადისციპლინო კომისიის სხდომაზე გაარჩევს.

ვაჟა ხუციშვილი



ოლე გუნარ სოლსკიაერმა სევდიანად თქვა, აწი ჩვეულად ვერ ვიჭნებიო

ორი ტრავმის ამბავი

რობენის და სოლსკიაერის სევდიანი ისტორიები

არ იქნა და არ დაადგა საშველი „ჩელსის“ ახალი ვარსკვლავის, არიენ რობენის გამოჯანმრთელებას.

რუმინეთში, ჰოლანდიის ნაკრებში ნათამაშევი მატჩისას მიღებული ტრავმის გამო, ის კვლავ ერთი თვით გამოაკლდება გუნდს. აქამდე ექიმები ორ კვირას ამბობდნენ, მაგრამ ფეხბურთელის მამის ცნობით, საქმე უფრო სერიოზულადაა და არიენის მუხლის მორჩენას სულ მცირე, ოთხი კვირა მაინც დასჭირდება.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ არიენ რობენი ჩემპიონთა ლიგის ორივე მეოთხედფინალურ მატჩს გააცდენს ანუ ვერაფრით დაეხმარება „ჩელსის“ მიუნხენის „ბაიერნის“ წინააღმდეგ. ესეც რომ არა, ეგებ საკარაუდო ნახევარფინალისთვისაც ვერ იყოს საჭირო ფორმაში.

„ძალიან მაბრაზებს ეს ტრავმა — თქვა რობენმა — არც ის ვიცი, ფორმაში როდის შევალ“.

არადა, რობენმა ახლადა დაიწყო ფორმაში შესვლა. სულ 15 წუთით გავიდა მოედანზე „ჩელსი“ — „კრისტალ პალასის“ თამაშისას, მაგრამ სანაკრებო ტრავმამ ისევ სკამზე დააბრუნა.

„ჰსვ ეინდჰოვენიდან“ „ჩელსიში“ გადასვლის შემდეგ, არიენ რობენმა 9 გოლი გაიტანა და ერთ-ერთ გადამწყვეტ ფიგურადაც იქცა ჟოზე მაურინიუს გუნდში

რობენი თავის ტრავმაზე კი ძალიან ნაღვლობს, მაგრამ მაშინ რადა იქნას მანჩესტერელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა, რომელმაც ბოლო ორ წელიწადში სულ სამჯერ ითამაშა ფეხბურთი და რომელიც ფიქრობს, რომ ძველებურად აწი კვლავ შეძლებს ბურთის გავორებას

„ოლდ ტრეფორდს“ კვლავაც ახსოვს სახრიანი ნორვეგიელი და მას აუცილებლად მოიხსენიებს ხოლმე საკლუბო სიძლიერეებში.

„ეს საამაყო მოსასმენია — აბობს 32 წლის სოლსკიაერი — ვგრძნობ, რომ რაღაც გამბედეობა კლუბისთვის ოღონდ, სამარიტლე ითქვას და ღიდინმა ძალიან დამღალა“.

შარშან, თებერვალში მუხლნაოპერაციები „სოლშა“ მოედანზე გამოჩნდა, მაგრამ ტრავმამ კვლავ ინინა თავი და ზაფხულში მას კიდევ ერთი ოპერაცია გაუკეთეს.

მან ორიოდე დღის წინ დაიწყო სირბილი.

ოლე გუნარ სოლსკიაერს 329-ჯერ უთამაშია „მანჩესტერ იუნაიტედში“ და 115 გოლიც გაუტანია, აქედან კი გადამწყვეტი 1999 წელს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

სევდიანი ისტორიაა, მაგრამ საფეხბურთო.

ირაკლი გამყრელიძე



არიენ რობენი ფეხბურთს სულ ცოტა, ერთი თვე არ ითამაშებს

მალელებს ფეხბურთის დაუმალავენ

კიდევ გადახვალთ მოედანზე?

აფრიკას, ასეთი სასჯელი პირველად ხვდა: შემდეგ სანაკრებო შეხვედრას მალის ეროვნული ნაკრები მართალია შინ, მაგრამ ცარიელი ტრიბუნების წინაშე ჩაატარებს. ეს იქნება 5 ივნისს, როდესაც ბამაკოს „26 მარტის“ სახელობის სტადიონს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის ჩასატარებლად ლიბერიის ეროვნული გუნდი ეწვევა

შეგახსენებთ, თუ რა მოხდა ბამაკოში შაბათს, როდესაც მალი ტოგოს მასპინძლობდა: მასპინძლები მატჩის უმეტესი დროის განმავლობაში 1:0-ს იგებდნენ, მაგრამ ბოლოსკენ ტოგოელებმა აჯობეს და ორი გოლი გაუტანეს კიდეც. მეორე 90-ე წუთზე გავიდა, რასაც ხალხის უკიდურესი გაღიზიანება და მოედანზე გადასვლა მოჰყვა.

მოგვიანებით, თამაშზე მისული 40 ათასზე მეტი გულშემატკივარი ქალაქის ქუჩებს მოედო და რაც კი მოიხელთა, ყველაფერი დალეწა — ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფისის ჩათვლით. შედეგად, ცხრამეტმა ადამიანმა საავადმყოფოში ამოჰყო თავი, ხოლო ოთხმოცზე მეტი პოლიციამ დააპატიმრა.

„ფიფა მკაცრად გმობს უსაფრთხოების პირობების დარღვევას და ფეხბურთელების, მსაჯების და მაყურებლების რისკის წინაშე დაყენებას, რის გამოც ოფიციალურად იწყებს საქმის გამოძიებას. ამწუთას ძნელია რაიმეს თქმა, კონკრეტულად როდის მოეწყობა ამ საქმის განხილვა, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მალის შემდეგი თამაში ივნისის დასაწყისში აქვს, ყველაფერი თავის ლოგიკურ ვადაში უნდა ჩაჯდეს“ — წერია ფიფას ოფიციალურ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ მალიში საფეხბურთო შეჯიბრებების მასპინძლობასთან ხამად სულაც არ არიან — 2002 წელს აფრიკის ეროვნებათა თასს სწორედ ამ ქვეყანაში უმასპინძლეს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ხალხი მოედანზე ერთ-ერთ მეოთხედფინალურ შეხვედრაში მაშინაც გადავიდა.

შეგახსენებთ, აგრეთვე, რომ ფიფამ უმაყურებლო ფეხბურთი მარტის დასაწყისში უკვე მოუსაჯა ალბანეთს (საქართველოსთან) და კოსტა რიკას.

პაპუნა კედია

რუი კოშტას სიცოცხლე აჩუქეს ისევ ის კრესპო ვარ...

„მილანის“ პორტუგალიელი ლეგიონერი მანუელ რუი კოშტა თავის დაბადების დღეს კინაღამ ავიაკატასტროფაში მოჰყვა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. „როსონერის“ არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო კი კვლავ თავის თავზე ლაპარაკობს და იმედი აქვს, რომ მალე მილანელი ოფიციალურად გახდება



ერნან კრესპოს „მილანი“ მოსწონს, მანუელ რუი კოშტა კი დაბადების დღეზე მომხდარმა საშინელებამ შეაძრწუნა

29 მარტს მანუელ რუი კოშტა 33 წლის გახდა. ამ დღეს იგი მცირე მოგზაურობიდან ბრუნდებოდა, სადაც ოჯახთან ერთად რამდენიმე დღე გაატარა. ნახევარმცველს ცოლი, შვილები, ძმა, მშობლები და ბავშვის მომვლელი ახლდნენ. ისინი ფეხბურთელის პირად თვითმფრინავში ისხდნენ, რომელსაც მილანის მალპენსას აეროპორტთან მიახლოებისას სერიოზული პრობლემები შეექმნა და ლამის ჩამოვარდა. თუმც პილოტის, მთლიანი ეკიპაჟისა და იღბლის წყალობით, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

რუი კოშტა: „შოკიდან ნელ-ნელა გამოვდივარ, მაგრამ ბოლომდე ჯერ მაინც ვერ გამოვფხიზლდი. ასე არასოდეს შემშინებია. ჩემს თავზე მეტად ოჯახზე ვნერვიულობდი, ეს საშინელი გრძნობა იყო. საბედნიეროდ, გადავრჩით. დიდ მადლობას ვუხდი პილოტსა და მეხანძრეებს, რომლებმაც სერიოზული სამუშაო გასწიეს და სწორედ მათი წყალობით დასრულდა ყველაფერი ასე მშვიდობიანად“.

აღსანიშნავია, რომ რუი კოშტამ უკვე ივარჯიშა კლუბთან ერთად, რათა ჩვეულ ცხოვრებას რაც შეიძლება, მალე დაუბრუნდეს და ეს უსიამოვნო ინციდენტი დაივიწყოს. მილანელოს საწვრთნელ ბაზაზე მრავალმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი და ფეხბურთელს უთანაგრძნო.

„ამ ამბის შემდეგ, ასე უცებ ვარჯიში მართლაც ძალიან დამეხმარა. ახლა მთავარია მდგომარეობიდან მალე გამოვიდე. დიდი მადლობა ყველას — გულშემატკივრებს, ჟურნალისტებს და, ბუნებრივია, თანაგუნდელებს. თქვენი მხარდაჭერა და თანაგრძნობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია“ — დასძინა ბოლოს პორტუგალიელმა.

ახლა ერნან კრესპოზეც ვთქვათ. არგენტინელს პრესასთან საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა. მან წარსულის გახსენებით დაიწყო...

„ალბათ, გახსოვთ პერიოდი, როდესაც ტრავმებმა საშინლად გამაწამა. ფაქტობრივად, ორ მატჩს გადაბმულად ვერ ვატარებდი. სიმართლე გითხრათ, მაშინ კარიერის დასრულებაც კი ვიფიქრე, მაგრამ საბოლოო ჯამში ყველაფერი მოგვარდა, ბოლომდე მოვჯობინდი და ძველი სათამაშო ფორმა, სანახევროდ მაინც, აღვიდგინე. იმას „ჩელსიში“ გადასვლა და ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოჰყვა. შემდეგ კი „მილანში“ აღმოვჩნდი და ისევ ვიპოვე საკუთარი თავი. ამჟამად ამაყი და ბედნიერი ვარ, რადგანაც ისეთივე კონდიციებში ვიმყოფები, როგორშიც კარიერის საუკეთესო წლებში ვიყავი“ — თქვა 29 წლის თავდამსხმელმა.

მოგეხსენებათ, ბოლო დროს კრესპო მართლაც კარგად ითამაშდა და მას „მილანში“ დარჩენა ძალიან უნდა. მისი შენარჩუნება სურს კლუბსაც, მაგრამ პრობლემა „ჩელსია“ — ლონდონელები სამხრეთამერიკელში საკმაოდ დიდ თანხას, 11,5 მილიონ ევროს ითხოვენ. იპენინელებს კი ტრადიციულად ჯიბეზე ხელის სათანადოდ გაკკრა უჭირთ. მხარეებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკება და ეგებ ყველაფერი ამ კვირაშივე გაირკვეს. ყოველ შემთხვევაში, თავად ფეხბურთელი ძალიან ოპტიმისტურად არის განწყობილი.

ერნან კრესპო: „კარგად იცით, რომ მე მხოლოდ „მილანზე“ ვოცქრობ და აქ დარჩენა მინდა. მეჯერა, კლუბებს შორის მოლაპარაკება მალე და ყველასთვის სასიკეთოდ დასრულდება. ბედნიერი ვარ, რომ „მილანის“ ხელმძღვანელობაც თითქმის ჩემსავით არის მონდომებული და ყველანაირად მხარში მიდგას“.

გიორგი კაკაბაძე

პრიზ!

ლოტიტომ ლაციო იხსნა

გიხარიდენ, რომის „ლაციო“ გაკოტრებას გადარჩა.

ამის შესახებ ოფიციალური განცხადება კლუბის პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ გააკეთა. ამ უკანასკნელის ძალისხმევით დედაქალაქელებმა ფინანსურ კომპანიასთან — INLAND REVENUE — ისტორიული კონტრაქტი გააფორმეს, რომლის თანახმადაც მომავალი 23 წლის მანძილზე, ეს ფირმა „ლაციოს“ 80 მილიონი ევროს ოდენობის დანახარჯს გაუსტუმრებს.

კლაუდიო ლოტიტო: „ბოლო წუთებამდე არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს საქმე გამოვიდოდა, რადგანაც უამრავი ხელის შემშლელი ფაქტორი იყო. თუმცა, საბედნიეროდ, ყველა წინაღობა გადავლახეთ და მიზანს მივაღწიეთ“.

შეგახსენებთ, რომ ლოტიტომ კლუბი არც ისე დიდი ხნის წინ ჩაიბარა. მას „ლაციოს“ ყოფილმა მფლობელმა სერჯო კრანიოტიმ ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა, თუმცა ლოტიტომ გუნდის ფეხზე დაყენება მაინც შეძლო, გადაახალისა შემადგენლობა და ამ კონტრაქტის შემდეგ დედაქალაქელთა ფინანსური მდგომარეობა საბოლოოდ მოაგვარა.

„ძალიან გახარებული ვარ. ეს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ჩვენთვის. განსაკუთრებით ვულოცავ და ყველაფრისთვის მადლობას ვუხდი გულშემატკივრებს. ეს მათი გამარჯვებაა“ — ამაყად განაცხადა რომაელთა პრეზიდენტმა.

გიორგი კაკაბაძე

იტალიური ჟურნალ-გაზეთები კვლავინდებურად ფრანჩესკო ტოტისა და „რომას“ ახალ კონტრაქტზე საუბრობენ. ბოლო ცნობით, უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია — დედაქალაქელთა კაპიტანი გუნდში სულ ცოტა, ერთ სეზონს კიდევ გაატარებს და ამის შესახებ ოფიციალური განცხადება მხარეებს შორის შეხვედრის შემდეგ გაკეთდება, რომელიც მომავალ კვირაშია დაგეგმილი. ტოტი სენიორა როზელა სენსის შეხვდება

რომა ტოტის იტოვებს

ფრანჩესკო ჭალმა შეაბა

შეგახსენებთ, რომ ტოტის მოქმედ კონტრაქტს ვადა 2006 წელს გასდის. შესაბამისად, რომაელებმა ან ახლავე უნდა გაფორმონ მასთან ახალი შეთანხმება, ანაც ზაფხულში იგი ტრანსფერზე დააყენონ, რათა საბოლოოდ უფულოდ არ დარჩნენ.

რომაელებს ტოტის შენარჩუნება ცხადია, უნდათ და ამის სურვილი თავად ფეხბურთელსაც აქვს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობას ფრანჩესკო ულტიმატუმსაც უყენებს და რამდენიმე მაღალი კლასის მოთამაშის ყიდვას სთხოვს, რათა კლუბს რომელიმე ტიტულისთვის ბრძოლის შანსი ჰქონდეს.

ასეა თუ ისე, ჭორებს თუ ვენდობით, მიუხედავად „რეალის“, „მილანისა“ და „ინტერის“ დაინტერესებისა, ტოტი „რომასთან“ ახალ შეთანხმებას აფორმებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ რომაელები კონტრაქტის გახანგრძლივებას ტრაიანოს დელასთან და ვინჩენცო მონტელასთანაც აპირებენ. მათ ანტონიო კასანოს შენარჩუნებაც სურთ, მაგრამ ცდუნება დიდია — ახალგაზრდა ფეხბურთელში „იუვენტუსი“ ფრანკო სენსის, „რომას“ მფლობელს სავარაუდოდ, საკმაოდ სოლიდურ თანხას შესთავაზებს. თანაც ტურინისკენ თავადაც ტოტი, ბოლოს, ...

კამაჩოს დავაბრუნებთ, თუმცა...

ბენფიკა ბჭობს, ტრაპატონის ხალხი ემდურის

ლისაბონის „ბენფიკაში“ ესპანელი ხოსე ანტონიო კამაჩოს დაბრუნების საკითხი კვლავაც განიხილება.

გუშინ ადგილობრივ მედიასთან შეხვედრისას „ბენფიკას“ პრეზიდენტმა ლუიშ ფელიპე ვიეირამ ამ სეზონში ლისაბონურ კლუბში კამაჩოს მოსვლის ვარიანტი უარყო, თუმც სამომავლოდ კვლავ „წითლების“ თავკაცად დანიშვნას არ გამორიცხავს.

საქმე ის გახლავთ, რომ „ბენფიკას“ ამჟამინდელ დამრიგებელს, მხცოვან იტალიელ ჯოვანი ტრაპატონის იქაური ქომაგი წარუმატებლობისთვის ემდურის და პორტუგალიურმა გაზეთებმაც ამიტომაც ახსენეს რამდენჯერმე კამაჩოს გვარი.

„ამ სეზონში კლუბის თავკაცად კამაჩოს მოსვლას გამოვრიცხავთ, თუმცა თუ 2005-06 წლების სეზონისთვის ჯოვანი ტრაპატონი იტალიური გუნდების რომელიმე წინადადებას დათანხმდება და ჩვენთან კონტრაქტით გათვალისწინებულ კიდევ ერთ წელზე უარს იტყვის, გაისად „ბენფიკაში“ სწორედ ესპანელ სპეციალისტს დავაბრუნებთ“ — განმარტა ლუიშ ფილიპე ვიეირამ.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ ხოსე ანტონიო კამაჩო წლეულს, პრიმერადივიზიონის დასაწყისში მადრიდის „რეალში“ თავკაცობდა, თუმც ფეხბურთელებთან უთანხმოებისა და დაკარგული ქულების გამო „სანტიაგო ბერნაბეუდან“ წასვლა არჩია.

ლადო ხომერიკი



კასილიასი ფიქრობს

იკერს პრემიერლიგაც მოსწონს და მანჩესტერიც

მადრიდის „რეალის" მეკარემ იკერ კასილიასმა განაცხადა, რომ მის აგენტს „მანჩესტერ იუნაიტედი" უკვე დაუკავშირდა და საზაფხულო ტრანსფერზე ელაპარაკა.

„დიდი ხანია, მანჩესტერელებს ვაინტერესებ — თქვა კასილიასმა — ამიტომაც პირობები შემოგვთავაზეს. თუმცა, ჩემთვის მთავარი ფული არ არის. მე პრემიერლიგაც მომწონს და „მანჩესტერიც", მაგრამ ისინი „რეალს" ჯერ ოფიციალურად არ დაკავშირებიან".

კასილიასის კონტრაქტი მადრიდელებთან გაისად იწურება, თუმცა, როგორც ამბობენ მეკარეს ახალს არაფერს შესთავაზებენ.

„მე ვიცი, რომ თუკი „რეალს" დავტოვებ, სხვა ესპანურ კლუბში ვერასოდეს გადავალ — განაგრძო 24 წლის ფეხბურთელმა — ერთ წელიწადში კონტრაქტის ვადა გამდის და მომავალი სწრაფად უნდა გავარკვიო".

აქ მხოლოდ ერთის დამატება შეგვიძლია — „მანჩესტერი" და კერძოდ, მისი ბოსი ალექს ფერგიუსონი იკერის გადაბირებით სერიოზულად არის დაინტერესებული.

ირაკლი გამყრელიძე

მაკმანამანი მგმგ წავიდეს

რატომ სტივი?

სტივ მაკმანამანმა ამ დღეებში მედიას მიანიშნა, რომ ამ ზაფხულს შეიძლება ფეხბურთსაც გამოეთხოვოს გაუთავებელი ტრავმების გამო.

„მანჩესტერ სიტის" 33 წლის ნახევარმცველს 7 მარტის შემდეგ არ უთამაშია და მთელი სეზონი დაიტანჯა.

„შვებულებისას დავფიქრდები — თქვა სტივმა — თუ ჩემს სხეულში ტკივილი არ იქნება, თამაშს გავაგრძელებ. ტკივილით თამაში კი საშინელებაა. მოკლედ, ამ ნახევარ წელიწადში გადავწყვეტ, წავალ თუ არა დიდი ფეხბურთიდან".

2003 წელს მადრიდის „რეალიდან" „სიტიში" გადასულ მაკმანამანს გითხარით, გამუდმებით ტრავმები სტანჯავს და ჯერაც არ გაუტანია გოლი.

„მე ყოველთვის იღბლიანი ვიყავი ტრავმების მიმართ — დასძინა ძველმა ვარსკვლავმა — იღბალმა კი „სიტიში" შემაქცია ზურგი".

ირაკლი გამყრელიძე

სტივ მაკმანამანს „რეალიდან" წასვლის მერე ფეხბურთი, ფაქტობრივად, არც უთამაშია

წამო, ფაბიენ, დავლიოთ ყავა

კუპე კუპეში არ შეიკეტება

დროის ამბავია, თორემ გრეგორი კუპე საფრანგეთის ნაკრების კარში რომ ჩადგება და ქვეყნის მთავარი გოლკიპერი გახდება, ამას ლაპარაკი არ უნდა. თავად „ლიონის" კარის მცველი კი ამბობს, ოღონდ „ლურჯების" თავკაცმა რაიმონ დომენეკმა მწვანე ამინთოს და ფაბიენ ბარტეზის შეცვლის ფსიქოლოგიური პრობლემა მე არ მექნებაო. ბარტეზს კი რა... მას ფრანგი ქომაგის გულში სამარადჟამო ადგილი უკვე დაბევებული აქვს, თანაც ფრიად გამოჩენილ ადგილზე, მაგრამ მეორე მხრივ, გასულ შაბათს, შვეიცარიასთან ისე ითამაშა, რომ გრეგორი კუპეს ვინძლო ცოტა ხანი კიდევ მოუწიოს წითელზე დგომა. არადა, ამ ცოტა ხნის წინ ჩატარებულმა გამოკითხვამ თითქოს სულ სხვანაირი სურათი დახატა: „ლურჯების" კარში კუპეს ხილვა სურდა გულშემატკივრების 87 პროცენტს, ხოლო ბარტეზისა — 13-ს...



გრეგორი კუპე და ფაბიენ ბარტეზი ერთმანეთს მხოლოდ სანაკრებო შეკრებებზე ხედავენ — ისინი მეგობრები არ არიან



— გრეგ, ალბათ, ძნელია სათანადო განწყობის შექმნა, რაკილა გრძნობთ, რომ რაიმონ დომენეკი კარს თქვენზე უწინ ფაბიენ ბარტეზს ანდობს...

— ჩემი საქმე, „ლიონში" რაც შეიძლება კარგად თამაშია. ყოველთვის მაქსიმალურად გახლავართ კონცენტრირებული ქლერფონტენში, ნაკრების ნებისმიერი წვრთნის დროსაც. მოკლედ, მე ყველა ღონეს ვხმარობ, რათა მწვრთნელს თავი მოვაწონო, თუმცა ისიც კარგად მესმის, რომ კარში მე დამაყენებს, ბარტეზს თუ ვინმე სხვას, მხოლოდ მისი გადასაწყვეტია.

— ფაბიენ ბარტეზთან კონკურენცია გიტაცებთ?

—ძალიან. მართალია დიდი მეგობრები არ ვართ და ერთმანეთს წარამარა არ ვურეკავთ, მაგრამ მოედანს გარეთ, რომ სრულიად ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, ფაქტია. როდესაც ნაკრებში ვართ გამოძახებული, ხშირად ყავის დასალევად მივდივართ ერთად. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ დიდი მონდომების მიუხედავად, ფაბიენის შეცვლას ისე არ ვჩქარობ, რომ ამის გამო ვნერვიულობდე.

—ამასწინათ, ბარტეზს უსიამოვნო ინციდენტი გადახდა მაროკოში, სადაც მან მსაჯს შეაფურთხა და ამის გამო შეიძლება, ხანგრძლივი დისკვალიფიკაციითაც დასაჯონ. ერთი სიტყვით, თქვენმა შანსმა შეიძლება, სხვა მხრიდან მოგიაროთ...

—ფაბიენის შესაძლო დისკვალიფიკაციაზე მივფიქრია და ვიცი, რომ თუ მას მართლა დასჯიან ანუ შანსი მომეცემა, მომენტს ყოველმხრივ მზად უნდა შევხვდე. ფაქტია, ფაბიენის დასჯის შემთხვევაში ძალიან სერიოზული საქმე დამაწვება მხრებზე.

—დღევანდელ ნაკრებში „ლიონიდან" ხუთი ფეხბურთელია გამოძახებული. ეს ძალიან გახარებთ?

—ცხადია. და ეს კარგია, როგორც რაიმონ დომენეკისთვის, ასევე „ლიონისთვის". როდესაც გუნდში გყავს ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც თამაშის დროს ერთმანეთისა ძალიან კარგად ესმით, ეს დიდი შეღავათია. ჩემთვის ცხადზე უცხადესია, რატომ ურჩევნია დომენეკს დაცვის ცენტრში მონაკოელი ბიჭების, გივესა და სკილაჩის გაყვანა, სხვების თამაშს. ერთი, რომ ისინი მაღალი დონის ფეხბურთელები არიან და მეორე, ისინი ერთმანეთს მოხარშულს იცნობენ.

—საფრანგეთის ნაკრებისგან განსხვავებით „ლიონს" მოგება სჩვევია. როგორ ახერხებს ამას?

—დიდი ხანია ფეხბურთელების ეს ჯგუფი ერთად ვართ. ბოლო ხუთი წელიწადია ჩემპიონთა ლიგაში ვთამაშობთ. ერთი სიტყვით, უკვე ისე ვართ, რომ ერთად თამაში დიდ სიამოვნებას გვანიჭებს. მოედანზე ერთმანეთის მხარდასაჭერად ვიბრძვით და გულშემატკივარს აშკარად ვახარებთ.

— ჩემპიონთა ლიგაში, გერმანიის ჩემპიონ ბრემენის „ვერდერს", ცოტა ხნის წინ ორ თამაშში 10 გოლი გაუტანეთ, მაგრამ ამის მიუხედავად ხალხი „ლიონს" შეჯიბრების დიდ ფავორიტად არ მიიჩნევს. ხალხის ასეთი განწყობა თქვენთვის დამატებითი სტიმული ხომ არ არის?

—ჩვენთვის ცნობილია, რომ მაგალითად ინგლისელებს, „ლიონის" შესახებ ბევრიც არაფერი გაეგონათ, მაგრამ ჩვენთვის აგრეთვე ცნობილია, რომ იმავეს გამეორებას გეპირებით, რაც შარშან „პორტუმ" გააკეთა. „ლიონი", დაცვაზე ორიენტირებული „პორტუსგან" განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს. ჩვენი ფეხბურთი ცალმხრივი არ არის, სრულფასოვანია ანუ თავსაც ვიცავთ და ვუტევთ კიდეც.

—ახლა თქვენი მეტოქე ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენია". როგორც ატყობთ, ამის გამო ხალხი უფრო გთხოვთ მოგებას, ვიდრე, ვთქვათ, იმ შემთხვევაში მოგთხოვდათ, „მილანი" რომ შეგხვედროდათ?

—რა თქმა უნდა „მილანთან" ფავორიტი მეტოქე იქნებოდა, პსვ-სთან კი ხალხი გამარჯვებას გვთხოვს. მეორეს მხრივ, პსვ ძლიერი გუნდია. მე ვუყურე, რა ქნეს მათ „მონაკოსთან" და ვიცი, რომ ახლახან „აიაქსს" მისსავე სტადიონზე 4:0 მოუგეს. მოკლედ, დიდი მონდომებით ველი თამაშს და დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოოდ კარგი ჯახები გამოგვივა

ბრაზილიელი ჟუნინიო პაულისტა (შუაში) შოტლანდიურ პრემიერლიგას და „სელტიკს“ ვერაფრით მოერგო

მე თამაში მინდა

ჟუნინიოს სქოთური ეუცხოვა

გლაზგოს „სელტიკის“ ჩია ბრაზილიელი ჟუნინიო პაულისტა გუნდიდან წასვლას და სამშობლოში დაბრუნებას აპირებს, აქაურ ფეხბურთს ვერაფერი გავუგეო.

„ბრაზილიაში წასვლა და იქ თამაში მსურს. როცა „მიდლსაროში“ გადავედი, ინგლისურ ფეხბურთს იოლად შევეგუე და მეგონა, რომ შოტლანდიაშიც არ გამიჭირდებოდა. სამწუხაროდ, შევცდი. სეზონი იწურება, მაგრამ სქოთურ პრემიერლიგას ვერ შევეწყვე. აქ სულ სხვაგვარად თამაშობენ — ბურთს მოედნის შუაში კი არ აგორებენ, პირდაპირ შეტევაში ვარბიან, რაც ნახევარმცველებისთვის რთულია“ — განმარტავს ჟუნინიო.

ბოლოს, 32 წლის ჟუნინიომ განაცხადა, „სელტიკიდან“ სხვა ევროპულ გუნდში გადასვლაზე ვფიქრობდი, მაგრამ ახლა გადაწყვეტილება შეკავებულია. ბრაზილიელი ნახევარმცველი სავარაუდოდ, „პალმეირასის“ მაისურას მოირგებს.

ვაჟა ხუციშვილი

აქლემი მარსელიდან

ტრუსიე ფურთხის წინააღმდეგ

„მარსელის“ მწვრთნელი ფილიპ ტრუსიე ფაბიენ ბარტეზის შესაძლო დისკვალიფიკაციამ ძლიერ შეაშფოთა

საფრანგეთის ნაკრებისა და „მარსელის“ მეკარე ფაბიენ ბარტეზი შესაძლოა რამდენიმე მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯონ. შეგახსენებთ, რომ მან მაროკოში, „ვიდად კასაბლანკასა“ და „მარსელის“ ამხანაგურ შეხვედრაში მსჯეს სახეში მიაფურთხა.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ეს ამბავი უკვე განიხილა და განაჩენსაც 7 აპრილს გამოიტანს.

ახლა „მარსელი“ ჩემპიონატის ლიდერ „ლიონს“ 11 ქულით ჩამორჩება და ოქროსთვის ბრძოლის შანსი ჯერ კიდევ აქვს, მაკრამ ბარტეზს თუ დისკვალიფიკაცია გამოუცხადეს, მის გარეშე „მარსელს“ გაუჭირდება. სწორედ ამას ჩივის გუნდის მწვრთნელი ფილიპ ტრუსიე: „ძალიან მეკარის გარეშე გავიმარჯვებთ — თქვა მან — ფაბიენ კლუბმა უკვე დაკარგა, ჯამაგირიდან გვრიანი თანხა დაქვითა და ბარტეზიც ძალიან ნანობს თავის საქციელს“.

ვაჟა ხუციშვილი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

პირველი ჯგუფი

ჰოლანდია 0:0 სომხეთი
მაკედონია 1:0 რუმინეთი

რუმინეთი	6	4	0	2	14:6	12
ჩეხეთი	5	3	2	0	13:3	11
ჰოლანდია	5	2	2	1	6:3	8
მაკედონია	5	2	1	2	8:9	7
სომხეთი	6	1	1	4	1:14	4
ფინეთი	5	1	0	4	2:9	3

მესამე ჯგუფი

ლატვია 2:1 ლუქსემბურგი
სლოვაკეთი 0:1 პორტუგალია
ესტონეთი 1:5 რუსეთი

პორტუგალია	5	5	0	0	14:2	15
რუსეთი	5	4	0	1	16:3	12
სლოვაკეთი	5	3	0	2	6:6	9
ლატვია	5	2	1	2	6:7	7
ესტონეთი	6	0	2	4	1:13	2
ლუქსემბურგი	6	0	1	5	3:15	1

მეოთხე ჯგუფი

ისრაელი 3:2 საფრანგეთი
შვეიცარია 3:0 კვიპროსი

ისრაელი	6	4	1	1	9:5	13
საფრანგეთი	5	3	1	1	6:4	10
შვეიცარია	4	2	2	0	9:4	8
ირლანდია	4	1	0	3	6:8	3
კვიპროსი	5	0	0	5	0:9	0

მეხუთე ჯგუფი

მოლდოვა 1:3 ნორვეგია
სლოვენია 1:4 ბელარუსი

იტალია	5	5	0	0	10:1	15
ნორვეგია	5	2	1	2	7:6	7
ბელარუსი	4	2	0	2	10:8	6
სლოვენია	5	1	2	2	3:8	5
მოლდოვა	5	1	1	3	4:7	4
შოტლანდია	4	0	2	2	1:5	2

მეექვსე ჯგუფი

ავსტრია 2:0 უელსი
ინგლისი 2:0 აზერბაიჯანი

ინგლისი	6	4	2	0	11:3	14
გერმანია	5	3	2	0	11:3	11
პოლონეთი	5	2	2	1	10:6	8
უელსი	6	2	1	3	4:10	7
ავსტრია	6	2	0	4	5:8	6
აზერბაიჯანი	6	0	1	5	0:11	1

მეშვიდე ჯგუფი

ბოსნია 2:0 ლიტვა
სერბეთი 1:0 ესპანეთი
სან მარინო 0:4 ბელგია

ბელგია	5	4	1	0	15:3	13
სერბეთი	5	4	0	1	18:5	12
ესპანეთი	5	2	2	1	19:4	8
ლიტვა	5	2	1	2	5:7	7
ბოსნია	4	1	0	3	4:7	3
სან მარინო	6	0	0	6	1:36	0

მერვე ჯგუფი

უნგრეთი 1:0 ბულგარეთი
ხორვატია 1:0 მალტა

ხორვატია	5	5	0	0	7:1	15
უნგრეთი	5	3	0	2	5:3	9
შვედეთი	5	3	0	2	6:7	9
ისლანდია	5	2	0	3	7:6	6
მალტა	5	1	0	4	2:6	3
ბულგარეთი	5	1	0	4	4:8	3

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურები სამხრეთ ამერიკა. XIII ტური

ბოლივია 3:1 ვენესუელა
1:0 ჩიკერო (25კ), 2:0 ხოსე კასტილიო (26), 2:1 ჯ. მალდონადო (71), 3:1 ვაკა (84)

არგენტინა	12	7	4	1	23:12	25
ბრაზილია	12	6	5	1	20:11	23
ეკვადორი	12	6	1	5	17:13	19
პარაგვაი	12	4	4	4	14:16	16
ურუგვაი	12	4	3	5	17:24	15
ვენესუელა	13	4	2	7	14:20	14
კოლუმბია	12	3	5	4	12:11	14
ჩილე	12	3	5	4	11:12	14
ბოლივია	13	4	1	8	15:23	13
პერუ	12	3	4	5	13:14	13

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
გადადებული მატჩები

ბანიკი 0:0 ოპავა
ბოლესლავი 1:0 ბუდეიოვიცე

სპარტა	20	16	3	1	41:14	51
ტეპლიცე	19	8	9	2	17:13	33
სლავია	19	9	5	5	28:18	32
ლიბერეცი	19	8	7	4	28:13	31
იაბლონეცი	20	8	7	5	20:16	31
სიგმა	19	9	3	7	20:18	30
ბანიკი	20	7	8	5	23:23	29
სლოვაცკო	20	6	9	5	17:14	27
ზლინი	20	5	8	7	18:23	23
ოპავა	20	5	7	8	20:23	22
ბოლესლავი	20	4	9	7	20:24	21
დრნოვიცე	19	5	5	9	20:24	20
ბრნო	19	5	5	9	14:26	20
ბლუმანი	20	5	5	10	16:29	20
პრეიბრამი	20	4	6	10	17:32	18
ბუდეიოვიცე	20	2	6	12	15:24	12

იტალიური „კალიარის“ ერთ-ერთი ლიდერი ანტონიო ლანგელა, რომელიც შესანიშნავ სეზონს ატარებს და გრანდების ყურადღების ცენტრშია, მომავალ სეზონშიაც სარდინიაზე აპირებს დარჩენას. „ძალიან მსიამოვნებს ინტერესი სხვა კლუბებისგან, მაგრამ უპირატესობას „კალიარიში“ დარჩენას და ეროვნულ ნაკრებში მოხვედრას ვანიჭებ“ — აღნიშნა 28 წლის ლანგელამ.

არგენტინული „ურაკანი“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დიეგო არმანდო მარადონას უხმობს. ბუენოსაირესული კლუბი ამჟამად მეორე დივიზიონში იმყოფება და რთულ ვითარებაშია. გუნდის პრეზიდენტ ოსკარ პრადას მიაჩნია, რომ საუკეთესო გამოსავალი იქნება, კლუბი მარადონას ჩააბარონ, თუმც ამ უკანასკნელს ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია.

გერმანული „მიონხენგლადბახის“ თავკაცი დიკ ადვოკაატი მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას უსაფუძვლოდ მიიჩნევს. „არ მესმის, რამ გამოიწვია ამგვარი პრეტენზიები. გუნდი საკმაოდ არეულ პერიოდში ჩავიბარე. ვფიქრობ, ვითარება შედარებით დავარეგულირე კიდეც და მჯერა, ბუნდესლიგაში დარჩენას შევძლებთ. თანაც ტრანსფერებისთვის მხოლოდ 3 მილიონი ევრო გვქონდა და ამ ფულით 7 მოთამაშე ვყიდეთ“ — აღნიშნა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა.

იტალიური „უდინეზეს“ ვარსკვლავ დავიდე დი მიკელეს იმედი აქვს, რომ მომავალ ზაფხულს რომელიმე გრანდში გადავა. „ვფიქრობ, სეზონის ბოლოს ერთ-ერთი დიდი კლუბისგან წინადადებას მივიღებ, რომელსაც სიამოვნებით დავთანხმდები. ამისთვის უკვე მზად ვარ“ — განაცხადა დი მიკელემ.

ბრაზილიელ თავდამსხმელ რობინიოზე ნადირობა კვლავაც გრძელდება. როგორც ჩანს, მისი „რეალში“ გადასვლის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. ამჯერად ასპარეზზე „ბარსელონა“ და „ჩელსი“ გამოჩნდნენ. განსაკუთრებით კატალონიელები აქტიურობენ და „კამპ ნოუზე“ თამაშის სურვილი თავად 21 წლის ფეხბურთელმაც გამოთქვა.

ინგლისური „ვესტ ჰემი“ ყველანაირად ცდილობს, რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს პრემიერლიგაში. ლონდონელები მომავალ ზაფხულს სერიოზული და გამოცდილი სპეციალისტის მიწვევას აპირებენ. ეს შესაძლოა, „ალკმაარის“ ამჟამინდელი თავკაცი კო ადრიანსე გახდეს, რომელიც სეზონის ბოლოს ჰოლანდიურ კლუბს დატოვებს. სავარაუდოდ, 57 წლის ადრიანსე „ჩაქუჩების“ წინადადებას დასთანხმდება.

ფრანგული „ლიონის“ ნახევარმცველი მიკაელ ესიენი კვლავ ევროპული გრანდების ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა. ამჟამად მისდამი ინტერესს ყველაზე მეტად ტურინის „იუვენტუსი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, ლონდონის „არსენალი“ და მიუნხენის „ბაიერნი“ იჩენენ. თავად 22 წლის განელს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია — მას „ლიონთან“ კიდევ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს.

იტალიურმა „მილანმა“ მომავალ ზაფხულს შესაძლოა ბერგამოს „ატალანტას“ 21 წლის მცველი მარკო მოტა დაიმატოს. 21 წლის ფეხბურთელი აპენინებზე ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება. ბევრი მას პაოლო მალდინისაც კი ადარებს.

პორტუგალიის ნაკრებისა და „ბენფიკას“ 30 წლის მეკარე კიკ სილვა შესაძლოა, მოსკოვის „დინამოში“ აღმოჩნდეს. რუსულმა კლუბმა ისედაც არაერთი ფეხბურთელი დაიმატა. პორტუგალიიდან და ახლა გამოცდილი კარის დარაჯის შეძენაც განუზრახავს. მოლაპარაკების დაწყება მაისში იგეგმება.

ინგლისური „არსენალის“ ბრაზილიელმა ლეგიონერმა ედუმ „ვალენსიაში“ გადასვლა უკვე გადაწყვიტა, მაგრამ მხარეები ჯერ ბოლომდე არ შეთანხმებულან. ფეხბურთელის აგენტთან ყველაფერი მოგვარებულია, „არსენალთან“ მოლაპარაკება კი შეიძლება კიდევ რამდენიმე კვირა გაიწელოს. ედუ ჩინებული მოთამაშეა და ჩვენ ძალიან გვინდა მისი შეძენა“ — აღნიშნა „ვალენსიას“ სპორტულმა დირექტორმა ედუარდო მასიამ.

ფრანგული „ბორდოს“ კოტდიუვარელ ლეგიონერ ბონავენტურე კალუს ერთ-ერთ გრანდში სურს გადაბარგება. ვფიქრობ, ნებისმიერ კლუბში შევძლებ თამაშს. იმედია, მომავალ ზაფხულს რომელიმე დიდი გუნდი შემომთავაზებს სარფიან კონტრაქტს“ — თქვა ნახევარმცველმა. აღსანიშნავია, რომ ამჟამად მას „ტოტენჰემი“, „ლივერპული“ და „მარსელი“ აკვირდებიან.

იტალიელ ფორვად ბერნარდო კორადის თქმით, იგი მზად არის, „ვალენსიაში“ დარჩეს. „კლუბთან კონტრაქტი 2008 წლამდე მაქვს და მის გაწყვეტაზე ჯერ არ ვფიქრობ. მართალია, ჯერჯერობით ჩემი ესპანური კარიერა მთლად კარგად ვერ აეწყო, მაგრამ მალე ყველაფერი გამოსწორდება“ — დასძინა 28 წლის კორადიმ.



სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ინგლისი. პრემიერლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		2 აპრილი						
15:45	1	ჩარლტონი-სიტი	2.0	3.3	3.45	1.24	1.26	1.68
18:00	2	კრისტალ პალასი-მიდლსბრო	2.4	3.2	2.75	1.37	1.28	1.47
18:00	3	არსენალი-ნორვიჩი	1.2	5.5	12.0	1.0	1.09	3.77
18:00	4	არსენალი-ნორვიჩი 0:1	1.5	4.5	3.8			
18:00	5	ბირმინგემი-ტოტენჰემი	2.35	3.2	2.85	1.35	1.28	1.5
18:00	6	ლივერპული-ბოლტონი	1.8	3.3	4.3	1.16	1.26	1.86
18:00	7	მანჩესტერი-ბლექბერნი	1.25	5.0	10.0	1.0	1.11	3.33
18:00	8	მანჩესტერი-ბლექბერნი 0:1	1.65	4.0	3.35			
18:00	9	ნიუკასლი-ასტონ ვილა	1.7	3.4	4.65	1.13	1.24	1.96
20:15	10	საუთჰემპტონი-ჩელსი	6.0	3.6	1.55	2.25	1.23	1.08
20:15	11	საუთჰემპტონი-ჩელსი 1:0	2.35	3.4	2.3			
		3 აპრილი						
16:30	12	ფულემი-პორტსმუთი	2.0	3.3	3.5	1.24	1.27	1.69
19:05	13	ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი	2.65	3.3	2.45	1.46	1.27	1.4

ინგლისი. ჩემპიონატი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		2 აპრილი						
18:00	14	სტოკი-როტერჰემი	1.5	3.7	6.0	1.06	1.2	2.28
18:00	15	ბარნლი-უოტფორდი	1.95	3.2	3.6	1.21	1.26	1.69
18:00	16	ქოვენთრი-ბრაიტონი	2.0	3.2	3.35	1.23	1.25	1.63
18:00	17	ქრიუ-ნოტინგემი	2.3	3.3	2.7	1.35	1.24	1.48
18:00	18	იფსვიჩი-დერბი	1.9	3.3	3.55	1.2	1.23	1.71
18:00	19	ლიდსი-ვულვერჰემპტონი	2.15	3.3	2.95	1.3	1.24	1.55
18:00	20	ლესტერი-მილუოლი	2.25	3.3	2.8	1.33	1.24	1.51
18:00	21	პლიმუთი-კარდიფი	1.95	3.3	3.4	1.22	1.23	1.67
18:00	22	პრესტონი-ჯილინგემი	1.6	3.5	5.0	1.09	1.21	2.05
18:00	23	ქპრ-სანდერლენდი	2.75	3.3	2.25	1.5	1.23	1.33
18:00	24	რედინგი-შეფილდი	2.15	3.3	3.0	1.3	1.25	1.57
18:00	25	უიგანი-ვესტ ჰემი	1.75	3.4	4.2	1.15	1.23	1.87

ინგლისი. I ლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		1 აპრილი						
22:45	38	დონკასტერი-კოლჩესტერი	1.8	3.3	3.85	1.16	1.22	1.77
		2 აპრილი						
18:00	39	ჰარტლპული-სუინდონი	1.9	3.3	3.4	1.2	1.21	1.67
18:00	40	ჰალი-ბარნსლი	1.6	3.5	4.7	1.09	1.19	2.0
18:00	41	ლუტონი-ბლეკპული	1.55	3.5	5.5	1.07	1.2	2.13
18:00	42	პიტერბრო-ჰადერსფილდი	2.5	3.3	2.4	1.42	1.22	1.38
18:00	43	უენსდი-ტრანმერი	2.1	3.3	3.0	1.28	1.23	1.57
18:00	44	სტოკპორტი-ბრენტფორდი	3.15	3.3	2.0	1.61	1.22	1.24
18:00	45	უოლსოლი-ტორკი	1.95	3.3	3.3	1.22	1.22	1.64
18:00	46	რექსემი-ბორნმუთი	2.4	3.3	2.5	1.38	1.22	1.42
18:00	47	ბრისტოლი-პორტ ვეილი	1.7	3.3	4.5	1.12	1.23	1.9
18:00	48	ჩესტერფილდი-ბრედფორდი	2.25	3.3	2.7	1.33	1.22	1.48
18:00	49	დონსი-ოლდემი	2.15	3.2	2.9	1.28	1.23	1.52

ინგლისი. II ლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		1 აპრილი						
22:45	62	საუთენდი-როვერსი	1.55	3.5	5.5	1.07	1.2	2.13
		2 აპრილი						
18:00	63	სუონსი-კემბრიჯი	1.45	3.6	6.5	1.03	1.18	2.31
18:00	64	უიკომბი-კიდერმინსტერი	1.75	3.3	4.3	1.14	1.24	1.86
18:00	65	ნოტსი-ლინკოლნი	2.8	3.3	2.2	1.51	1.23	1.32
18:00	66	ბოსტონი-ჩელტენემი	2.05	3.3	3.2	1.26	1.24	1.62
18:00	67	ბერი-როჩდეილი	2.25	3.3	2.8	1.33	1.24	1.51
18:00	68	დარლინგტონი-ჩესტერი	1.6	3.5	5.0	1.09	1.21	2.05
18:00	69	ლეიტონი-ნორთჰემპტონი	2.6	3.2	2.45	1.43	1.26	1.38
18:00	70	მენსფილდი-გრიმსბი	2.0	3.3	3.3	1.24	1.24	1.64
18:00	71	რაშდენი-იოვილი	3.7	3.4	1.8	1.77	1.21	1.17
18:00	72	სკანთორპი-მაკლსფილდი	2.0	3.3	3.3	1.24	1.24	1.64
18:00	73	შრიუსბერი-ოქსფორდი	2.35	3.3	2.65	1.37	1.24	1.46

ინგლისი. კონფერენსი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		2 აპრილი						
18:00	84	კონვი-ექსეტერი	2.8	3.3	2.2	1.51	1.23	1.32
18:00	85	ქროული-აკრინგტონი	2.3	3.2	2.7	1.33	1.24	1.46
18:00	86	ფარნბორო-კარლაილი	5.5	3.6	1.5	2.17	1.17	1.05
18:00	87	ფორესტ გრინი-ტემუორთი	2.4	3.3	2.5	1.38	1.22	1.42
18:00	88	ჰალიფაქსი-ლეი	1.3	4.2	8.0	1.0	1.11	2.75
18:00	89	მორიკომბი-სკარბორო	1.9	3.4	3.3	1.21	1.2	1.67
18:00	90	ნორთვიჩი-ბარნეტი	3.7	3.4	1.8	1.77	1.21	1.17
18:00	91	სტივენეიჯი-ჰერეფორდი	2.15	3.2	2.9	1.28	1.23	1.52
18:00	92	უოკინგი-დაგ ენდ რედი	1.75	3.4	4.0	1.15	1.21	1.83
18:00	93	იორკი-გრეივსენდი	2.3	3.2	2.6	1.33	1.22	1.43

შოტლანდია. პრემიერლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		2 აპრილი						
18:00	94	სელტიკი-ჰართსი	1.15	5.5	12.0	1.0	1.04	3.77
18:00	95	სელტიკი-ჰართსი 0:1	1.35	4.3	3.8			
18:00	96	დანდი-კილმარნოკი	2.35	3.2	2.65	1.35	1.24	1.44
18:00	97	ჰიბერნიანი-დანდი იუნ.	1.55	3.5	5.0	1.07	1.18	2.05
18:00	98	ინვერნესი-აბერდინი	2.45	3.2	2.55	1.38	1.24	1.41
18:00	99	ლივინგსტონი-დანფერმლაინი	2.2	3.2	2.8	1.3	1.23	1.49
		3 აპრილი						
17:00	100	მოზერუელი-რეინჯერსი	9.0	4.8	1.25	3.13	1.09	1.0
17:00	101	მოზერუელი-რეინჯერსი 1:0	3.15	4.0	1.65			

შოტლანდია I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		2 აპრილი						
18:00	102	კლაიდი-ჰამილტონი	1.7	3.5	3.9	1.14	1.18	1.84
18:00	103	ფოლკირკი-სტ.ჯონსტონი	1.6	3.6	4.3	1.1	1.16	1.95
18:00	104	ქუინი-პარტიკი	1.95	3.5	3.0	1.25	1.18	1.61
18:00	105	როსი-ერდრი	2.25	3.3	2.65	1.33	1.21	1.46
18:00	106	სტ.მირენი-რეითი	1.45	4.0	5.5	1.06	1.14	2.31

შოტლანდია. II დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		2 ზპრილი						
18:00	107	ეარი-არბროთი	1.85	3.5	3.3	1.21	1.18	1.69
18:00	108	ბერიკი-ფორფარი	2.25	3.4	2.6	1.35	1.2	1.47
18:00	109	ბრეჩინი-მორტონი	1.75	3.6	3.5	1.17	1.16	1.77
18:00	110	დამბარტონი-ალოა	2.35	3.4	2.4	1.38	1.18	1.4
18:00	111	სტირლინგი-სტრანრარი	2.45	3.5	2.3	1.44	1.18	1.38

შოტლანდია. III დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		2 აპრილი						
18:00	112	ალბიონი-ელგინი	2.45	3.4	2.35	1.42	1.19	1.38
18:00	113	კოუდენბითი-მონტროუზი	2.35	3.5	2.4	1.4	1.18	1.42
18:00	114	ისტ ფაიფი-გრეტნა	7.5	5.0	1.25	3.0	1.07	1.0
18:00	115	პიტერჰედი-სტენჰაუზმური	1.35	4.5	6.0	1.03	1.1	2.57
18:00	116	ქუინზ პარკი-ისტ სტირლინგი	1.75	3.5	3.6	1.16	1.17	1.77

გერმანია. I ბუნდესლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		2 აპრილი						
17:30	117	არმინია-ლევერკუზენი	2.75	3.2	2.35	1.47	1.26	1.35
17:30	118	ფრაიბურგი-ჰამბურგი	4.0	3.4	1.8	1.83	1.24	1.17
17:30	119	ჰანზა-მაინცი	2.0	3.2	3.5	1.23	1.27	1.67
17:30	120	კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი	1.85	3.2	3.9	1.17	1.25	1.75
17:30	121	შალკე-ნიურნბერგი	1.4	4.0	7.5	1.03	1.17	2.6
17:30	122	შალკე-ნიურნბერგი 0:1	1.9	3.8	2.65			
17:30	123	ვერდერი-შტუტგარტი	1.95	3.3	3.6	1.22	1.26	1.72
17:30	124	ვოლფსბურგი-ბაიერნი	3.8	3.4	1.85	1.79	1.24	1.19
		3 აპრილი						
19:30	125	მიონხენგლადბახი-ბოხუმი	1.85	3.4	3.8	1.19	1.24	1.79
19:30	126	დორტმუნდი-ჰერტა	2.3	3.3	2.8	1.35	1.26	1.51

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		1 აპრილი						
21:00	127	ალემანია-ერფურტი	1.45	3.8	6.0	1.04	1.16	2.32
21:00	128	ესენი-დინამო	2.0	3.2	3.3	1.23	1.24	1.62
21:00	129	აუე-კოტბუსი	1.75	3.3	4.2	1.14	1.23	1.84
		3 აპრილი						
17:00	130	ფიურტი-კარლსრუე	1.6	3.4	4.8	1.08	1.2	1.99
17:00	131	მიუნხენი 1860-კიოლნი	2.25	3.1	2.9	1.3	1.26	1.49
17:00	132	ობერჰაუზენი-ზაარბრიუკენი	2.2	3.1	3.0	1.28	1.26	1.52
17:00	133	ალენი-აინტრახტი	2.8	3.1	2.3	1.47	1.26	1.32
17:00	134	უნტერჰახინგი-ბურგჰაუზენი	1.95	3.2	3.35	1.21	1.23	1.63
		4 აპრილი						
22:15	135	ტრირი-დუისბურგი	2.8	3.1	2.3	1.47	1.26	1.32
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)						
		31 მარტი						
22:15	155	ოფენბახი-ზიგენი	1.85	3.3	3.45	1.18	1.2	1.68
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		2 აპრილი						
20:30	164	აუსტრია-ტიროლი	1.4	4.0	7.0	1.03	1.16	2.54
20:30	166	პაშინგი-ბრეგენცი	1.25	4.8	9.0	1.0	1.09	3.13
20:30	167	ზალცბურგი-გრაცერი	2.95	3.3	2.15	1.55	1.24	1.3
20:30	168	შტურმი-ადმირა	1.85	3.4	3.7	1.19	1.23	1.77
		3 აპრილი						
17:30	165	მატერსბურგი-რაპიდი	2.9	3.3	2.2	1.54	1.25	1.32
		ავსტრია. I დივიზიონი						
		1 აპრილი						
21:00	169	ალტახი-კერნტენი	3.1	3.2	2.0	1.57	1.21	1.23
21:00	170	ლეობენი-გრატკორნი	1.85	3.3	3.5	1.18	1.21	1.69
21:00	171	რიდი-კაფენბერგი	1.95	3.1	3.4	1.19	1.23	1.62
21:00	172	უნტერხიბენბრიუნი-ლინცერი	1.9	3.2	3.4	1.19	1.21	1.64
21:00	173	ვიორგლი-აუსტრია(ლ)	3.7	3.4	1.75	1.77	1.18	1.15
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		2 აპრილი						
21:30	174	ბაზელი-აარაუ	1.3	4.4	8.0	1.0	1.11	2.83
21:30	175	ბაზელი-აარაუ 0:1	1.85	3.9	2.8			
21:30	176	გრასჰოპერი-შაფჰაუზენი	1.4	3.8	7.3	1.02	1.17	2.49
21:30	177	გრასჰოპერი-შაფჰაუზენი 0:1	2.1	3.7	2.5			
		3 აპრილი						
16:30	178	თუნი-ქსამაქსი	2.05	3.2	3.2	1.24	1.24	1.6
18:15	179	სტ.ვალენი-ციურიხი	2.2	3.1	3.0	1.28	1.26	1.52
		იტალია. სერია A						
		2 აპრილი						
20:00	198	ფიორენტინა-იუვენტუსი	4.5	3.3	1.75	1.9	1.25	1.14
20:00	200	ლაციო-ლივორნო	1.85	3.0	4.5	1.14	1.31	1.79
22:30	201	ბოლონია-ინტერი	3.2	2.9	2.3	1.52	1.33	1.28
22:30	202	მილანი-ბრეშა	1.15	5.5	15.0	1.0	1.06	4.02
22:30	203	მილანი-ბრეშა 0:1	1.45	4.0	4.3			
		3 აპრილი						
17:00	204	პალერმო-მესინა	1.75	3.1	5.0	1.11	1.29	1.91
17:00	205	რეჯინა-პარმა	2.15	2.8	3.7	1.21	1.35	1.59
17:00	206	უდინეზე-რომა	1.85	3.2	4.1	1.17	1.27	1.79
17:00	207	კალიარი-სამპდორია	2.3	2.9	3.2	1.28	1.33	1.52
17:00	208	ლეჩე-სიენა	1.95	3.1	3.9	1.19	1.29	1.72
17:00	209	ატალანტა-კიევო	2.2	3.0	3.3	1.26	1.32	1.57
		იტალია. სერია B						
		1 აპრილი						
22:45	210	ჩეზენა-არეცო	1.85	3.0	4.1	1.14	1.27	1.73
		2 აპრილი						
22:30	211	კროტონე-ტრიესტინა	1.95	2.8	4.0	1.14	1.31	1.64
22:30	212	პერუჯა-ტერნანა	1.85	2.7	4.8	1.09	1.33	1.72
22:30	213	პესკარა-სალერნიტანა	2.05	2.7	3.9	1.16	1.34	1.59
22:30	214	პიაჩენცა-ტრევიზო	2.3	2.7	3.2	1.24	1.33	1.46
22:30	215	ტორინო-ემპოლი	2.1	2.7	3.7	1.18	1.33	1.56
22:30	216	ვენეცია-კატანძარო	1.8	3.1	4.2	1.13	1.25	1.78
22:30	217	ვიჩენცა-ასკოლი	2.25	2.7	3.3	1.22	1.33	1.48
22:30	218	ბარი-კატანია	2.15	2.6	3.8	1.17	1.37	1.54
22:30	219	ჯენოა-ალბინოლეფე	1.4	3.7	7.5	1.01	1.17	2.47
		4 აპრილი						
22:45	220	მოდენა-ვერონა	2.3	2.6	3.3	1.22	1.35	1.45
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		2 აპრილი						
20:00	240	სოსიედადი-ოსასუნა	1.9	3.2	4.0	1.19	1.28	1.77
23:45	241	ვილიარეალი-ბილბაო	1.75	3.4	4.3	1.15	1.24	1.89
22:00	242	სარაგოსა-ვალენსია	2.35	3.3	2.75	1.37	1.26	1.5

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		3 აპრილი						
23:00	231	ალბასეტე-რეალი	4.9	3.5	1.65	2.04	1.23	1.12
21:00	233	ატლეტიკო-მალიორკა	1.5	3.8	6.0	1.07	1.17	2.32
19:00	234	ბარსელონა-ბეტისი	1.45	3.8	6.5	1.04	1.18	2.39
19:00	235	ლევანტე-დეპორტივო	2.6	3.2	2.5	1.43	1.27	1.4
19:00	236	მალაგა-ხეტაფე	1.8	3.2	4.5	1.15	1.28	1.87
19:00	237	რასინგი-ესპანიოლი	2.15	3.2	3.2	1.28	1.28	1.6
19:00	238	სევილია-ნუმანსია	1.45	4.1	6.5	1.07	1.18	2.51
19:00	239	სევილია-ნუმანსია 0:1	2.0	3.9	2.5			
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		2 აპრილი						
22:00	254	მეცი-ტულუზი	2.35	2.6	3.4	1.23	1.38	1.47
22:00	255	ნიცა-სტ.ეტიენი	2.3	2.7	3.4	1.24	1.37	1.5
22:00	256	რენი-ბასტია	1.6	3.2	6.1	1.06	1.26	2.09
22:00	257	სოშო-კაენი	1.65	3.1	5.6	1.07	1.27	1.99
22:00	258	აიაჩო-მონაკო	3.35	2.8	2.25	1.52	1.34	1.24
19:15	260	ოსერი-ნანტი	1.7	3.1	5.0	1.09	1.26	1.91
22:00	261	ბორდო-სტრასბური	1.75	2.9	5.3	1.09	1.31	1.87
22:00	262	ლილი-ისტრი	1.5	3.3	6.8	1.03	1.22	2.22
22:00	263	ლიონი-ლანსი	1.5	3.3	7.5	1.03	1.25	2.29
22:00	264	ლიონი-ლანსი 0:1	2.1	3.2	2.3			
		3 აპრილი						
23:00	265	მარსელი-პსჟ	1.75	3.0	5.0	1.1	1.29	1.87
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		1 აპრილი						
22:00	268	ამიენი-გენგამი	2.0	2.8	4.0	1.16	1.33	1.64
22:00	269	კლერმონი-ნანსი	2.9	2.8	2.4	1.42	1.31	1.29
22:00	270	კრეტეი-ლორიანი	2.25	2.8	3.2	1.24	1.32	1.49
22:00	271	გრენობლი-შატორუ	2.2	2.8	3.25	1.23	1.31	1.5
22:00	272	ვენიონი-დიუონი	2.05	2.8	3.9	1.18	1.34	1.62
22:00	273	ლე ავრი-მონპელიე	2.2	2.8	3.25	1.23	1.31	1.5
22:00	274	ნიორი-ლავალი	2.75	2.7	2.6	1.36	1.33	1.32
22:00	275	რეიმსი-ანჟე	2.0	2.8	3.8	1.16	1.31	1.61
22:30	276	ბრესტი-სედანი	1.95	2.8	4.0	1.14	1.31	1.64
		4 აპრილი						
22:15	277	ლე მანი-ტრუა	2.05	2.9	3.55	1.2	1.29	1.59
		ბელგია. I დივიზიონი						
		2 აპრილი						
22:00	278	სერკლი-ბეგერენი	2.0	3.3	3.25	1.24	1.23	1.63
22:00	279	ლიერსი-ოსტენდე	1.8	3.4	4.0	1.17	1.24	1.83
22:00	280	სტანდარდი-ბეერსხოტი	1.35	4.3	7.5	1.02	1.14	2.73
22:00	282	შარლერუა-გენტი	2.15	3.4	2.85	1.31	1.22	1.55
22:00	283	ლუვიე-ბრიუგე	5.0	3.5	1.6	2.05	1.21	1.09
		3 აპრილი						
17:00	281	ლოკერენი-მონსი	1.65	3.6	4.5	1.13	1.2	2.0
17:00	284	ბრიუსელი-სტ.ტრუიდენი	1.95	3.4	3.2	1.23	1.21	1.64
17:00	285	მუსკრონი-ვესტერლო	2.2	3.3	2.8	1.32	1.23	1.51
22:00	286	ვენჯი-ანდერლეხტი	2.4	3.2	2.6	1.37	1.24	1.43
		ბელგია. II დივიზიონი						
		2 აპრილი						
21:30	287	დესელი-კორტრაიკი	2.1	3.2	3.0	1.26	1.23	1.54
22:00	288	ანტვერპენი-გეელი	2.4	3.1	2.55	1.35	1.23	1.39
22:00	289	დაინცე-ტუბეკე	2.3	3.1	2.65	1.32	1.23	1.42
22:00	290	ვაასლანდი-ეუპენი	1.5	3.7	5.3	1.06	1.16	2.17
22:00	291	ვირტონი-ვიგორი	2.1	3.1	3.0	1.25	1.23	1.52
22:00	292	რუზელარე-ვიზეტი	1.3	4.5	8.0	1.0	1.11	2.88
		3 აპრილი						
17:00	293	სტ.ჟილი-რონსე	2.4	3.2	2.5	1.37	1.22	1.4
17:00	294	აალსტი-ჰეუსდენი	2.15	3.1	2.9	1.26	1.23	1.49
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		1 აპრილი						
22:00	295	ვიტესი-ტვენტე	2.0	3.4	3.3	1.25	1.24	1.67
		2 აპრილი						
21:30	296	დენ ჰაგი-ვალვაიკი	2.3	3.3	2.65	1.35	1.23	1.46
21:30	297	ჰერენვენი-აიაქსი	3.25	3.4	1.95	1.66	1.21	1.23
21:30	298	პსვ-უტრეხტი	1.25	5.0	9.0	1.0	1.09	3.21
21:30	299	პსვ-უტრეხტი0:1	1.55	4.3	3.45			
21:30	300	ტილბურგი-გრაფსხაპი	1.6	3.6	5.0	1.1	1.21	2.09
		3 აპრილი						
16:30	301	ფეიენოორდი-ალკმაარი	1.9	3.3	3.6	1.2	1.24	1.72
16:30	302	ნაიმეგენი-გრონინგენი	2.15	3.2	3.1	1.28	1.26	1.57
16:30	303	როზენდალი-დენ ბოსხი	1.6	3.9	4.4	1.13	1.17	2.06
18:30	304	როდა-ბრედა	1.75	3.5	4.0	1.16	1.21	1.86

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჰოლანდია. II დივიზიონი						
		1 აპრილი						
22:00	307	აპელდორნი-კამბური	1.95	3.3	3.3	1.22	1.22	1.64
22:00	308	ვეენდამი-ზვოლე	2.4	3.4	2.5	1.4	1.22	1.44
22:00	309	დორდრეხტი-ვენლო	2.4	3.4	2.5	1.4	1.22	1.44
22:00	310	სიტარდი-ოსი	2.55	3.4	2.35	1.45	1.22	1.38
22:00	311	იგლსი-ჰაარლემი	1.85	3.4	3.5	1.19	1.21	1.72
22:00	312	ჰელმონდი-ემენი	1.35	4.0	7.5	1.0	1.14	2.6
22:00	313	ჰერაკლესი-ვოლენდამი	1.55	3.8	4.8	1.1	1.17	2.12
22:00	314	სპარტა-ეინდჰოვენი	1.25	5.5	8.5	1.01	1.08	3.33
22:00	315	ტელსტარი-მაასტრიხტი	1.7	3.5	4.3	1.14	1.21	1.92
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		1 აპრილი						
23:45	321	გიმარაეში-რიუ ავე	1.85	3.1	4.2	1.15	1.28	1.78
		3 აპრილი						
19:00	316	ბეირა მარი-პენაფიელი	2.25	3.2	2.9	1.32	1.26	1.52
23:30	317	ბენფიკა-მარიტიმუ	1.4	4.0	7.5	1.03	1.17	2.6
23:30	318	ბენფიკა-მარიტიმუ 0:1	1.9	3.8	2.6			
23:45	319	ბოავიშტა-სპორტინგი	2.45	3.2	2.6	1.38	1.26	1.43
19:00	322	მორეირენსე-ბელენენსეში	2.2	3.0	3.0	1.26	1.26	1.5
19:00	323	ნასიონალი-სეტუბალი	1.75	3.3	4.0	1.14	1.21	1.8
21:15	324	პორტუ-ჟილ ვისენტე	1.3	4.3	8.0	1.0	1.11	2.79
21:15	325	პორტუ-ჟილ ვისენტე 0:1	1.8	4.0	2.8			
19:00	326	აკადემიკა-ეშტორილი	1.8	3.3	4.0	1.16	1.24	1.8
		4 აპრილი						
23:30	320	ბრაგა-ლეირია	1.65	3.4	4.8	1.11	1.22	1.99
		თურქეთი						
		2 აპრილი						
15:30	346	ისთანბული-სებათი	1.75	3.2	4.5	1.13	1.25	1.87
17:00	347	რიზე-გენჩლერბირლიგი	1.95	3.3	3.5	1.22	1.25	1.69
17:00	348	ანკარაგიუჯიუ-საკარია	1.8	3.3	3.8	1.16	1.22	1.76
20:00	349	ფენერბაჰჩე-გაზიანთეფი	1.2	5.0	10.0	1.0	1.07	3.33
20:00	350	ფენერბაჰჩე-გაზიანთეფი 0:1	1.55	4.2	3.4			

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		3 აპრილი						
15:30	351	კონია-დენიზლი	2.1	3.3	3.1	1.28	1.25	1.59
15:30	352	სამსუნი-მალათია	2.15	3.2	3.0	1.28	1.25	1.54
15:30	353	ტრაბზონი-ანკარა	1.25	5.3	7.5	1.01	1.07	3.1
17:00	354	კაისერი-გალათასარაი	6.0	3.8	1.45	2.32	1.16	1.04
17:00	355	დიარბაქირი-ბეშიქთაში	4.0	3.4	1.75	1.83	1.21	1.15
		დანია. სუპერლიგა						
		2 აპრილი						
17:00	393	ბრიონდბიუ-მიდტიულანდი	1.5	3.8	5.5	1.07	1.17	2.24
19:00	394	სილკებორგი-ესბიერგი	2.7	3.2	2.3	1.46	1.24	1.33
		3 აპრილი						
17:00	395	ვიბორგი-ოლბორგი	2.45	3.2	2.55	1.38	1.24	1.41
17:00	396	რანდერსი-ორჰუსი	3.3	3.2	2.0	1.62	1.24	1.23
17:00	397	ნორდსიელანდი-ჰერფიოლგე	1.9	3.3	3.5	1.2	1.23	1.69
19:30	398	ოდენსე-აკადემისკი	2.7	3.2	2.3	1.46	1.24	1.33
		ირლანდია						
		31 მარტი						
22:45	414	ლონგფორდი-კორკი	2.6	3.0	2.4	1.39	1.24	1.33
		ხორვატია. თასი						
		31 მარტი						
18:00	519	პულა-ოსიეკი	1.95	3.3	3.25	1.22	1.21	1.63
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		31 მარტი						
19:00	567	ტრენჩინი-სლოვანი	1.9	4.2	2.55	1.3	1.08	1.58
		ჰოკეი. შვეიცარია						
		31 მარტი						
22:15	585	ციურიხი-დავოსი	2.0	4.2	2.4	1.35	1.09	1.52
		კალათბურთი. ევროლიგა						
		31 მარტი						
22:40	690	ციბონა-ულქერი	2.0	12.0	1.65	1.71	1.0	1.45
22:40	691	სიენა-მაკაბი	1.5	12.0	2.2	1.33	1.0	1.85
22:40	692	სკავოლინი-ცსკა	2.1	12.0	1.6	1.78	1.0	1.41
22:40	693	რეალი-ბარსელონა	1.6	12.0	2.0	1.41	1.0	1.71

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჩემპიონთა ლიგა						
		5 აპრილი						
22:45	400	ლივერპული-იუვენტუსი	2.55	3.1	2.6	1.39	1.28	1.41
22:45	401	ლიონი-პსვ	1.75	3.3	4.5	1.14	1.25	1.9
		6 აპრილი						
22:45	402	ჩელსი-ბაიერნი	1.75	3.3	4.5	1.14	1.25	1.9
22:45	403	მილანი-ინტერი	2.0	2.9	4.0	1.18	1.33	1.68

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		უეფას თასი						
		7 აპრილი						
20:30	404	ცსკა-ოსერი	1.8	3.2	4.2	1.15	1.25	1.81
22:45	405	აუსტრია-პარმა	2.25	3.0	3.0	1.28	1.28	1.5
22:45	406	ნიუკასლი-სპორტინგი	1.75	3.2	4.5	1.13	1.25	1.87
22:45	407	ვილიარეალი-ალკმაარი	1.55	3.5	5.0	1.07	1.18	2.05

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10400	ლივერპული-იუვენტუსი	2.9	2.0	3.2	1.18	1.52	1.23
10401	ლიონი-პსვ	2.2	2.0	4.6	1.04	1.48	1.39
10402	ჩელსი-ბაიერნი	2.2	2.0	4.6	1.04	1.48	1.39
10403	მილანი-ინტერი	2.6	2.1	3.6	1.16	1.5	1.32

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10404	ცსკა-ოსერი	2.3	2.0	4.3	1.06	1.49	1.36
10405	აუსტრია-პარმა	2.7	2.1	3.2	1.18	1.46	1.26
10406	ნიუკასლი-სპორტინგი	2.2	2.0	5.0	1.04	1.52	1.42
10407	ვილიარეალი-ალკმაარი	1.9	2.3	5.3	1.04	1.39	1.6

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13400	ლივერპული-იუვენტუსი	1.7	1.9
13401	ლიონი-პსვ	1.7	1.9
13402	ჩელსი-ბაიერნი	1.7	1.9
13403	მილანი-ინტერი	1.7	1.9
13404	ცსკა-ოსერი	1.7	1.9
13405	აუსტრია-პარმა	1.7	1.9
13406	ნიუკასლი-სპორტინგი	1.7	1.9
13407	ვილიარეალი-ალკმაარი	1.7	1.9

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2.5-ზე ნაკლები - 2.5-ზე მეტი)

12400	ლივერპული-იუვენტუსი	1.6	2.0
12401	ლიონი-პსვ	1.7	1.9
12402	ჩელსი-ბაიერნი	1.6	2.0
12403	მილანი-ინტერი	1.6	2.0
12404	ცსკა-ოსერი	1.6	2.0
12405	აუსტრია-პარმა	1.7	1.9
12406	ნიუკასლი-სპორტინგი	1.7	1.9
12407	ვილიარეალი-ალკმაარი	1.7	1.9

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი [illegible])

14400	ლივერპული-იუვენტუსი	1.9	1.9
14401	ლიონი-პსვ	1.65	2.2
14402	ჩელსი-ბაიერნი	1.65	2.2
14403	მილანი-ინტერი	1.75	2.1
14404	ცსკა-ოსერი	1.6	2.3
14405	აუსტრია-პარმა	1.8	2.0
14406	ნიუკასლი-სპორტინგი	1.65	2.2
14407	ვილიარეალი-ალკმაარი	1.3	2.55

ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

		ლუწი	კენტი
17400	ლივერპული-იუვენტუსი	1.85	1.95
17401	ლიონი-პსვ	1.85	1.95
17402	ჩელსი-ბაიერნი	1.85	1.95
17403	მილანი-ინტერი	1.85	1.95
17404	ცსკა-ოსერი	1.85	1.95
17405	აუსტრია-პარმა	1.85	1.95
17406	ნიუკასლი-სპორტინგი	1.85	1.95
17407	ვილიარეალი-ალკმაარი	1.85	1.95

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15400	ლივერპული-იუვენტუსი	3.0	2.8	2.0
15401	ლიონი-პსვ	3.0	2.8	2.0
15402	ჩელსი-ბაიერნი	3.0	2.8	2.0
15403	მილანი-ინტერი	3.0	2.8	2.0
15404	ცსკა-ოსერი	3.0	2.8	2.0
15405	აუსტრია-პარმა	3.0	2.8	2.0
15406	ნიუკასლი-სპორტინგი	3.0	2.8	2.0
15407	ვილიარეალი-ალკმაარი	3.0	2.8	2.0

რომელი გუნდი გავა შემდეგ ეტაპზე

18400	ლივერპული-იუვენტუსი	2.9	1.35
18401	ლიონი-პსვ	1.65	2.2
18402	ჩელსი-ბაიერნი	1.65	2.2
18403	მილანი-ინტერი	1.55	2.3
18404	ცსკა-ოსერი	1.7	1.9
18405	აუსტრია-პარმა	2.3	1.5
18406	ნიუკასლი-სპორტინგი	1.65	2.0
18407	ვილიარეალი-ალკმაარი	1.4	2.6

არ იქნება არაბეთი, იქნება ევროპა

კურტინაიტისმა ქართული ტრიო აზერბაიჯანის ნაკრებში თამაშზე დაიყოლა

აქამდე ერთი შემთხვევა იყო, როცა ქართველი უცხო ქვეყნის ნაკრებში თამაშობდა. ზაზა ენდელაძემ 90-იანი წლების შუაწელში თურქეთის მოქალაქეობა მიიღო და ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ახლა კი ერთბაშად სამმა ქართველმა გამოთქვა აზერბაიჯანის ნაკრებში თამაშის სურვილი და რიმას კურტინაიტისის ხელქვეით მარტის შუაში ორკვირიანი შეკრებაც გაიარა. დავით ბარბაქაძე ბაქოს „აზერის" ფორვარდია, ნიკა ნოზაძე და კირილე ტატუნაშვილი კი ამავე ქალაქის ბე-შე-ჟე-ში თამაშობენ. სწორედ ამ სამეულს დაადგათ თვალი აზერბაიჯანელთა ნაკრების ლიტველმა მწვრთნელმა და ქართველობა საუდის არაბეთში გასამართ ისლამური ქვეყნების ოლიმპიადაზე წასასვლელადაც მოამზადა, მაგრამ...



დავით ბარბაქაძე (№15) აზერბაიჯანული პასპორტის მოლოდინშია

მაშრამ დულინჯავაშვილის ფოტო

— ორი კვირა ვივირჯიშეთ აზერბაიჯანის ნაკრებში, მაგრამ ახლა გვითხრეს, რომ საბუთების მოწესრიგება ვერ ესწრება და სავარაუდოდ საუდის არაბეთშიც ველარ წავალთ — გვითხრა დავით ბარბაქაძემ ბუშინ, ბაქოში რომ შეკეხმიანეთ.

— მართლა საბუთების ბრალია თუ მწვრთნელმა არ ისურვა თქვენი ოლიმპიადაზე წაყვანა?

— არა, კურტინაიტისი ჩვენით უკმაყოფილო არ არის, უბრალოდ, აზერბაიჯანის მოქალაქეობის მიღების პროცედურა ვერ ესწრება. მწვრთნელს რომ არ სდომებოდა, არც შემოგვთავაზებდა ნაკრებში თამაშს. თანაც კურტინაიტისმა იცოდა, რომ ჩვენთვის აზერბაიჯანის ნაკრებში თამაშზე დათანხმება იოლად გადასაწყვეტი საქმე არ იყო. რაკი მივეცით თანხმობა, იმის გარანტია გვქონდა, რომ ძირითად შემადგენლობაში მოვხვდებოდით. ამის პრობლემა არც გვაქვს. ეგაა, საბუთების მოწესრიგებამ წაიღო დრო. ისე, როგორც კურტინაიტისი ამბობს, არაა გამორიცხული, რომ საჭირო დოკუმენტაციის მოწესრიგება საუდის არაბეთში გამგზავრებამდე მოესწროს. ნაკრები 6 აპრილს მიდის და მანამდე ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ყველაფერი მოგვარდება.

— კონკრეტულად ვინ შემოგთავაზათ აზერბაიჯანის ნაკრებში თამაში და სანაცვლოდ რას დაგპირდათ?

— პირობებზე ლაპარაკი ჯერ არ ყოფილა, მაგაზე მერე უნდა გველაპარაკა. იმედია, რამე ხელსაყრელზე შეგვითანხმდებოდნენ. ნაკრებში თამაში კი უშუალოდ რიმას კურტინაიტისმა შემოგვთავაზა.

— თუ ოლიმპიადაზე ვერ წახვედით, აზერბაიჯანის ნაკრებში აღარ ითამაშებთ?

— როგორ არა, ამ ოლიმპიადის გარდა აზერბაიჯანელები ევროსარბიელზეც მიიღებენ მონაწილეობას. როგორც ვთქვი, ახლა ჩვენ სამს აქაურ მოქალაქეობას გვიფორმებენ და მერე პრობლემა აღარ იქნება, ნაკრებს ყველა ტურნირზე დავეხმარებით.

— თქვენ სამის გარდა სხვა უცხოელსაც ხომ არ შესთავაზეს აზერბაიჯანის ნაკრებში თამაში?

— არა, ნაკრებში მხოლოდ აზერბაიჯანელები და ჩვენ, სამი ქართველი ვიყავით. თუ აქაურებმა კიდევ ვინმეს შესთავაზეს და უარი მიიღეს, ამის შესახებ არაფერი ვიცი.

— ახლა რას აკეთებთ, აღარ ვარჯიობთ?

— რომ გაირკვეს საბუთების გაკეთება ვერ [illegible] ჩვენ, სამმა ვარჯიში შევწყვიტეთ. კი გვაიმედებენ, ეგება მოვასწროთო, მაგრამ ამის ძალიან მცირე შანსია.

— აზერბაიჯანის ნაკრები ორიოდ წლის წინ ძალიან სუსტი იყო და ახლა როგორაა საქმე?

— საგრძნობლად მოუმატა. აბა, რიმას კურტინაიტისი ტყუილად ხომ არ მიიწვიეს, ამ ცნობილმა სპეციალისტმა გუნდს თავისი ხელი დაატყო და აზერბაიჯანელებიც საუდის არაბეთში კარგი შედეგის მისაღწევად მიდიან.

— თქვენ როდის განაახლებთ აზერბაიჯანის ნაკრებში ვარჯიშს?

— თუ არაბეთში ვერ წავედით, მერე ალბათ ხანგრძლივი დასვენება მოგვიწევს. ზუსტად არ ვიცი, აზერბაიჯანელები რომელ ევროპულ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. მგონი, „პრომოუშენ ქაფს" ითამაშებენ, რომელშიც ევროპის სუსტი ეროვნული გუნდები გამოდიან, ისეთები, როგორებიც არიან ანდორა, მალტა, ლიხტენშტეინი და სხვა. ამ ტურნირის მონაწილეებს შედარებით ძლიერებში, B დივიზიონში ანაცვლების შანსიც აქვთ, მაგრამ ამას დროს სჭირდება. კურტინაიტისიც ამ მატჩებში აპირებს ჩვენს დახმარებას.

— კლუბში როგორ გაქვთ საქმეები?

— სწორედ ჩვენი გუნდები ხვდებიან ერთმანეთს მესამე ადგილისთვის მატჩში. ჩემი „აზერი" და ნოზაძე-გელაშვილის ბე-შე-ჟე სერია მას მერე დაიწყება, რაც აზერბაიჯანის ნაკრები საუდის არაბეთიდან დაბრუნდება.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ნიუ იორკს თიხის ფეხებზე დაემსხვრა

ლეიკერსს კი მოგება ეღირსა

29 მარტი

ლეიკერსი 117:107 ნიუ იორკი

ლეიკერსი: ბრაიანტი (32), ბატლერი (26), ჯორჯი (18)

ნიუ იორკი: მარბერი (45 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა), კ. ტომასი (18 ქულა, 15 მოხსნა), კროუფორდი

კლივლენდი 94:85 კლიპერსი

კლივლენდი: ჯეიმსი (22), ილგაუსკასი (19 ქულა, 15 მოხსნა), გუდენი (16)

კლიპერსი: მეჯიტი (26), ჯამანი (18), ბრენტი (15 ქულა, 12 მოხსნა)

მაიამი 103:91 ტორონტო

მაიამი: ონილი (28), ვეიდი (27), დ. ჯონსი (14)

ტორონტო: ალსტონი (19), ბოში (16 ქულა, 13 მოხსნა), პიტერსონი (15)

მემფისი 99:102 სიეტლი

მემფისი: გასოლი (24), ველსი (17), ბეტიე (16), სვიფტი (15), უოტსონი (15)

სიეტლი: ალენი (22), ჯეიმსი (22), რადნორი (15)

დასასრული ყველაფერს აქვს და ადრე თუ გვიან, უფრო კი გვიან, „ლოს ანჯელეს ლეიკერსსაც" ეღირსა მოგება. დაცემული დიდებულები თიხისფეხება „ნიუ იორკს" მასპინძლობდნენ და ზედმეტად 8 მარცხის შემდეგ აქტივს გამარჯვება მიათვალეს.

სათქმელია, რომ რაც „ლეიკერსი" ქალაქ მინეაპოლისიდან ლოს ანჯელესში გადაცხოვრდა, მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ამაზე უიღბლო სერია — 1994 წელს, როცა გუნდს ლეგენდარული „ლეიკერსი" მეჯიქ ჯონსონი თავკაცობდა. ამ გუნდმა ზედიზედ 10 შეხვედრა დათმო და, სხვათა შორის, იმ სეზონში მე-9 ადგილზე გავიდა დასავლეთ კონფერენციაში.

წლეულს ისე ჩანს, „ლეიკერსი" იმ ავბედითი სეზონის შემდეგ პირველად დარჩება უპლეიოფოდ და ალბათ უფრო დაბალ, მე-10 ან სულაც მე-11 ადგილით დაკმაყოფილება მოუწევს.

მაგრამ ამ გამარჯვებამ გუნდში გააღვივა მინავლებული ოპტიმიზმი. იქნებ ყველაფერი არ დასრულებულაო — ამბობს ლიდერი კობი ბრაიანტი. „ნიუ იორკთან" ბრაიანტმა 32 ქულა მოაგროვა, აქედან 20 მეორე ნახევარში და ყოჩაღად მობურთალ, თუმც მაინც ვერაფრიშვილ ნიუორკელებს გარჯა წყალში ჩაუყარა. მარცხმა ყველაზე მეტად „ნიქსის" ლიდერი სტივ მარბერი გაანაწყენა, რომელმაც სეზონში უმეტესი, 45 ქულა და ზედაც ბლომად მოხსნა-პასები მოიხვეჭა და თავისთავად, ეამებოდა, ეს დიდებული მონაგარი ლოს ანჯელესში გამარჯვებით დაემშვენებინა.

„არა აქვს მნიშვნელობა, 2 ქულას მოაგროვებენ თუ 50-ს. მთავარია, მოიგო, ჩვენ კი დღეს ეს ვერ შევძელითო" — წუხდა დამარცხებულთა შორის საუკეთესო.

„ლეიკერსის" საპირისპიროდ ამ სეზონში დაფრინავს წინა ორში მცოცავი „სიეტლი".

„იმდენ და თან ისეთ თამაშებს ვიგებთ, სეზონის დაწყებამდე ვერც ვიოცნებებდითო" — ამბობს „სონიქსის" მთავარმექანიკოსი რეი ალენი. ამ ხელჩუბინმა მსროლელმა მემფისში იქაურ „დათვებს" 22 ქულა ჩაუგდო, რაც მისთვის საშუალო სასეზონო მაჩვენებელს უტოლდება. სამაგიეროდ, მისი ახმახ თანაგუნდელს ჯერომ ჯეიმსისთვის 22 ქულა კარიერის რეკორდი გამოდგა. „სიეტლმა" დაძაბულ ჯახში, ბოლო წამებზე ჩაგდებული სამი საჯარიმოთი აჯობა „მემფისს", რომელსაც ეს ერთი კვირაა, ლიდერი პაუ გასოლი გამოუჯანმრთელდა და უფრო იმედიანად ხვდება რეგულარული ჩემპიონატის დასასრულსა და პლეი ოფს. ხოლო ეჭვი, რომ „მემფისი" პლეი ოფში ვერ მოხვდება, ძალიან მცირეა.

რაც შეეხება „სიეტლს", ამ გუნდმა უკვე დააბევა დასავლეთის რვა რჩეულს შორის ადგილი და ახლა ოთხეულის მშვენიერი შანსიც აქვს, რაც მას პირველ რაუნდში მოედნის უპირატესობას მისცემს.

შინ „კლიპერსს" მოუგო „კლივლენდმა", ვისაც ოდნავ დაშავებული ჰყავდა ჯეელი მეთაური ლებრონ ჯეიმსი, თუმც ვუნდერლებრონმა მაინც ითამაშა და მთელი თამაშის განმავლობაში ბევრი ბურთის აცილების შემდეგ ბოლო წუთებზე წყვილი სამქულიანით მოუპოვა გამარჯვება თავისიანებს.

დღის მეოთხე და ბოლო შეხვედრაში მაიამიში ჩარეულმა „დინოზავრებმა" სიქა გააცალეს იქაურ „ჰითს", მაგრამ აგრესიული ბურთაობა ლამის ჩხუბში გადაზარდეს და წაგებულნი დარჩნენ. ტორონტოელმა მორის პიტერსონმა ბოლო მეოთხედში დაჩაგვრა მოუნდომა „მაიამის" ჯეელ ვარსკვლავს, მაგრამ ამით ორმაგი ტექნიკური გამოიმუშავა და თავისიანთა მარკხს შორიდან უყურა.

კოტე ყორშია

აღმოსავლეთი				დასავლეთი			
მაიამი	54	18	75,0	ფინიქსი	53	17	75,7
დეტროიტი	43	27	61,4	სან ანტონიო	52	18	74,3
ბოსტონი	38	32	54,3	სიეტლი	49	21	70,0
ვაშინგტონი	39	30	56,5	დალასი	47	23	67,1
ჩიკაგო	38	31	55,1	საკრამენტო	44	28	61,1
კლივლენდი	37	32	53,6	ჰიუსტონი	43	28	60,6
ინდიანა	36	34	51,4	მემფისი	39	31	55,7
ფილადელფია	35	35	50,0	დენვერი	38	31	55,1
ორლანდო	33	37	47,1	მინესოტა	37	34	52,1
ნიუ ჯერსი	33	38	46,5	ლეიკერსი	33	37	47,1
ნიუ იორკი	29	41	41,4	კლიპერსი	32	39	45,1
ტორონტო	29	41	41,4	გოლდენ სტეიტი	25	45	35,7
მილუოკი	27	43	38,6	პორტლენდი	24	45	34,8
შარლოტი	15	54	21,7	იუტა	22	48	31,4
ატლანტა	11	59	15,7	ნიუ ორლეანი	16	54	22,9

პირველი სამი ადგილი დივიზიონის ლიდერებს უჭირავთ

ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი

კონკურსები, კონკურსები და ისევ კონკურსები

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური აკადემია ყოველწლიურად ატარებენ ნაირგვარ კონკურსს, რომელშიც მონაწილეობენ როგორც პირველკლასელი მოსწავლეები, ისე სტუდენტები, ასპირანტები და სამეცნიერო ხარისხებით დამძიმებული სწავლულები. გამონაკლისი არც წლევანდელი წელია და კვლავ ცხადდება რამდენიმე კონკურსი.

ამ კონკურსთაგან ერთ-ერთია პროფესორ ავთანდილ ციბაძის სახელობისა კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავს ოლიმპიური მოძრაობის, ოლიმპიური განათლებისა და სპორტულ საკითხებზე საუკეთესო სამეცნიერო, სამეცნიერო-მეთოდური, სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემას, ასევე ოლიმპიზმის პროპაგანდის მიზნით მასმედიაში გამოქვეყნებული ან ტელევიზიით გადაცემული საუკეთესო მასალების გამოვლენას.

კონკურსში გამარჯვებული, მათ შორის სახელმძღვანელოს, სამეცნიერო ნაშრომის, წიგნის, ბროშურის, სატელევიზიო გადაცემისა თუ ტელეპუბლისცისტური სტატიების ავტორებისთვის, ნომინაციებიების მიხედვით დაწესებულია 200-დან 500 ლარამდე პრემიები.

საინტერესოა ასევე ოლიმპიური სპორტისა და ლიტერატურის კონკურსიც, რომელიც თავის მხრივ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონკურსისთვის მასალების შერჩევას გულისხმობს. ეს კონკურსი ტარდება 3 კატეგორიაში. პირველში გაერთიანებულები არიან 12 წლამდე, მეორეში 12-დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეები, ხოლო მესამეში 19 წლის ზემოთ ახალგაზრდები.

პირველ კატეგორიაში გამარჯვებული ავტორები დაჯილდოვდებიან ოლიმპიური და სპორტული ლიტერატურით, აგრეთვე სეოკ-ის სიგელი, ხოლო მეორე და მესამე კატეგორიაში გამარჯვებულთ სიგელებთან ერთად გადაეცემათ 100-დან 500 ლარამდე პრემია, ხოლო ყველა მონაწილე მიიღებს კონკურსში მონაწილეობის დამადასტურებელ შესაბამის სერტიფიკატს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის კი მიმართეთ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის №65. ტელ: 95-36-87.

როგორც იტყვიან, ჰა ბურთი და ჰა, მოედანი.

ყირგიზებმა მეორე აკაევიც დაიფრინეს



აიდარ აკაევი

რევოლუციისა და პრეზიდენტ ასკარ აკაევის ქვეყნიდან გაქცევის შემდეგ ყირგიზებმა კიდევ ერთი პრეზიდენტი და ისიც აკაევი დატოვეს უსაქმოდ.

ასკარის ვაჟი აიდარი, რომელიც აქამდე ოლიმპიურ კომიტეტს ხელმძღვანელობდა, საგანგებოდ შეკრებილმა პრეზიდიუმმა გადააყენა და მისი საქმე-თანამდებობა ეშიმ კუტმანალიევს გადააბარა.

ახალმა პრეზიდენტმა თანამდებობა მაშინვე შეირგო და პირველივე სიტყვით გამოსვლისას კრიტიკული განცხადება გააკეთა — ყირგიზეთის სპორტის მინისტრ ოკმოტბეკ ალმაკუჩუკოვს მისდგა და მიწასთან გასწორა.

„ნებისმიერი სახის საქმიან წინადადებასა თუ პრობლემატურ საკითხზე მისი პასუხი ერთნაირია — არ გვაქვს საშუალება — თქვა კუტმანალიევმა — სამწუხაროდ, ქვეყნის უმთავრესი სპორტული ორგანიზაცია უკვე დიდი ხანია, საცდელ პოლიგონს უფრო ჰგავს. სპორტი არაპროფესიონალთა ხელშია. სწორედ ალმაკუჩუკოვის ზეწოლის გამო დავთანხმდი თავის დროზე ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობიდან გადადგომას და ჩემი ადგილის აიდარ აკაევისთვის დათმობას“.

აკაევის კანდიდატურას მაშინ რამდენიმე დელეგატი შეეწინააღმდეგა, თუმც მთავრობის ჩანაფიქრი მაინც ადვილად გავიდა. უკამათოდ არც ამ დღეებში ჩატარებულ რიგგარეშე ყრილობას ჩაუვლია. პრეზიდიუმის წევრთა ერთი მცირე ნაწილი ამჯერად უკვე აიდარ ასკარის ძის თანამდებობაზე დატოვებას ლამობდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც უმრავლესობამ იძალა.

ოთარ გალლაკელიძე

ამბერის ტურნირი

მონტე კარლო. მონაკო 19 - 31 მარტი

IX ტური

ბორის გელფანდი (ისრაელი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	0,5:0,5	0,5:0,5
ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)	0:1	0,5:0,5
პეტერ სვიდლერი (რუსეთი) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	0,5:0,5	1:0
პეტერ ლეკო (უნგრეთი) — ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)	0,5:0,5	1:0
ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) — ალექსეი შიროვი (ესპანეთი)	1:0	0,5:0,5
ევგენი ბარეევი (რუსეთი) — ფრანცისკო ვალეზო (ესპანეთი)	0:1	0,5:0,5

პირველად მოცემულია დაფაზედაუხედავი პარტიის შედეგი

მოჭადრაკეებმა გაისროლეს, ანანდს კი თერთმეტი წლის წინანდელი მოუნდა

მეცხრე ტურამდე ერთი დღე უქმად იყო გამოცხადებული. მოჭადრაკეებმაც თავიანთი 64 უჯრიანი დაფები დროებით დაივიწყეს და ძალები მშვილდოსნობაში მოსინჯეს, თუმც როგორი ჩუბინები აღმოჩნდნენ და სად რამდენი ისარი გაარტყეს, ჩვენთვის უცნობია.

მომდევნო დღეს დასვენებული გონებით ისინი თავიანთ სპორტს დაუბრუნდნენ და მეცხრე ტური ჩაამთავრეს.

ტურნირის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ინდუსმა ვიშვანათან ანანდმა 13,5 ქულით პირველი ადგილი თითქმის უკვე გაინაღდა, მაგრამ საეჭვოა ოდინდელი რეკორდი გაიმეოროს.

შეგახსენებთ, რომ 1994 წელს აზიელმა დიდოსტატმა 17 ქულით მოიგო პირველობა, ეს კი ტურნირის რეკორდია და მოსახსნელად ანანდს დარჩენილი პარტიების მოგება სჭირდება, თუმც, თუ მის მეტოქეებს გადაეხედავთ, ეს ერთობ გაუჭირდება.

გაურკვეველი მდგომარეობაა მეორე ადგილისთვის შეჯიბრებებში. ამ პოზიციაზე ყოველ ტურში ახალ-ახალი მოჭადრაკე ხვდება. ... ადრე რუსი ალექსანდრ მოროზევიჩია წამოსულებული. მეცხრე ტურში მან მოსახელე, ესპანეთის სახელოვანი მოსპარეზე შირეფი დაამარცხა 1,5:0,5.

დაფაზედაუხედავ პარტიაში მეტოქეებმა მეოთხე სვლა-ზე თითოეული პაიკი გაცვალეს და დაფაზე ფიგურების გადაწყობას შეუდგნენ. ფრთხილად თამაშობდა რუსი, მან ჯარი წინ არ გაუშვა, უკან გაამაგრა და შიროვის დასახვედრად მოემზადა. ამით შავებს ცენტრი მიეცათ და თეორიებზე დაწყებას შეუდგნენ, თუმც მოროზევიჩმა მალე ფიგურები დაახვედრა მეკრის და შეტაკებებში პაიკთა დაწყვილებლა მოროზევიჩი ფიგურების გაცვლაზე გადავიდა, თან ხ ხაზზე მდგარი პაიკი გაუშვა ჩასათვლელი ხაზისკენ. შიროვმა მიიღო ძალები ხ ხაზის პაიკისკენ მიმართა, მოროზევიჩმა კი სამაგიეროდ ხელმწიფის ფლანგიდან მეორე ფრიანგი გახსნა და იქიდან დასცხო ფიგურანაკლებ მტერს. ორმხრივ ოერაციების შიროვმა ვერ გაუძღო და 57-ე სვლაზე ესპანური დროშა დაუშვა.

მათი სწორეთ პარტიაც დაძაბული გამოდგა და 52-ე სვლაზე მეგობრული ყაიმით დასრულდა.

მოროზევიჩის მეორეზე ასვლაში დიდი წვლილი მიუძღვის პეტერ ლეკოს. უნგრელმა დიდოსტატმა უკვე ცოფილ მეორეადგილისან უკრაინელ ვასილ ივანჩუკს მოუგო 1,5:0,5 და მასთან ერთად მესამე-მეხუთე ადგილებს იყოფს.

ლაზა გეგეჭკორი

1 ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)	7/6,5:1,5
2 ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი)	5,5:5/10,5
3 ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)	4,5/5,5/10
4 პეტერ ლეკო (უნგრეთი)	4,5/5,5/10
5 პეტერ სვიდლერი (რუსეთი)	5/5/10
6 ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	5/4/9
7 ბორის გელფანდი (ისრაელი)	4,5/4:8,5

პირველად მოცემულია დაფაზედაუხედავი პარტიის შედეგი, მეორეზე სწრაფის

პირველი სისხლი დაილვრება

ნჰლ-ისა და მოთამაშეთა ასოციაციის კონფლიქტი ახალ, უფრო ფეთქებად სტადიაში გადადის. როგორც მოსალოდნელი იყო, ლიგამ გააგრძელა ზეწოლა ოპონენტებზე, ოღონდ ეს გაცილებით ადრე გააკეთა, ვიდრე ვარაუდობდნენ.

მოგეხსენებათ, 20 აპრილს ლიგის ყველა კლუბის მესვეურთა კრება უნდა გამართულიყო, სადაც შექმნილ პირობებში ახალი ტაქტიკის შემუშავებაზე „იმსჯელებდნენ“, თუმც ნჰლ გაცილებით ადრე გადავიდა შეტევაზე. ლიგის მოთმინების ფიალა მაშინ აივსო, როდესაც მის მიერ წარმოდგენელი ორი ახალი პროექტი ოპონენტებმა აინუნშიც არ ჩააგდეს.

საქმე ისაა, რომ გასულ კვირას პროფკავშირმა სამი დღის განმავლობაში ითათბირა და წესით, მას თავისი კონტრწინადადება უნდა შეეთავაზებინა ნჰლ-სთვის, მაგრამ ამ შეხვედრას არავითარი შედეგი არ მოჰყვა და ლიგის გაწბილებულმა ხელმძღვანელობამ უმალ რეაგირება მოახდინა. ხუთშაბათს ნჰლ-მა 2005 წლის დრაფტი გააუქმა, რადგან ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება კვლავ განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. არადა, წლევანდელი დრაფტი დიდი მოვლენა უნდა გამხდარიყო, ვინაიდან მასზე „მომავალი უეინ გრეიკი“, 17 წლის ვუნდერკინდი სიდნი კროსბი გამოდიოდა. დროის უკმარისობის გამო ლიგამ ასეთი მძიმე ნაბიჯი გადადგა. თუმც ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისი იყო.

პარასკევს ნჰლ-მა მთავარი დარტყმა მიაყენა ოპონენტს და საჩივრით მიმართა აშშ-ს უმაღლეს ინსტანციას, ეგრეთ წოდებული NLRB-ს, სადაც სამუშაო კონფლიქტები იხილება.

საჩივარში წერია, რომ რაკი პროფკავშირი შეგნებულად ამუხრუჭებს პროცესის დარეგულირებას, ლიგა იძულებულია, რადიკალურ ზომებს მიმართოს და მოითხოვს, პროფკავშირის დაშლას. ისიც შესაძლებელია, რომ 2005-06 წლების სეზონი შემცვლელი მოთამაშეებით ჩაატაროს.

როგორც ამბობენ, სულ მალე ლიგა კიდევ ერთ საჩივარს შეიტანს, სადაც უკვე კატეგორიულად მოითხოვს შემცვლელი ჰოკეისტების გამოყენებას.

ამრიგად ნჰლ-მა საბოლოოდ განახორციელა ის, რითაც ემუქრებოდა ასოციაციას და პრაქტიკულად ოპონენტები კუთხეში მიიმწყვდია. თუმც არც პროფკავშირი იტეხს იხტიბარს.

პერსპექტივა: მალე

ასოციაციის წარმომადგენლებმა უკვე აცნობეს მოთამაშეებს, რომ ნებისმიერ შტრეიკბრეხერს, ანუ იმას, ვინც ლიგის ანკესზე წამოგება, მოუწევს იმ ფულის დაბრუნება, რასაც ნჰლ-ა შემწეობის სახით უხდიდა ლოკაუტის გამო უმუშევრად დარჩენილ ჰოკეისტებს. შეგახსენებთ, რომ ნჰლ-ელები თვეში 10 ათას დოლარ ღებულობენ ლოკაუტის დროს. გარდა ამისა, პროფკავშირმა ჰოკეისტთა აგენტებიც გაფრთხილა, რომ თუ ისინი შეეცდებიან თავიანთი კლიენტების შემცვლელ მოთამაშეებად წარმოდგენას, მაშინ ნჰლ-ა-ს სერტიფიკატს დაკარგავენ ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც მოთამაშეთა ასოციაციამ გაავრცელა, ნათქვამია, რომ საჩივრის დეტალურ განხილვამდე ნჰლ-ა თავს არიდებს რაიმე ოფიციალური კომენტარის გაკეთებას, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ლიგის უსამართლო ქმედება ყველა ზღვარს სცილდება. მაშ ასე, „ცივი ომი“ ნამდვილ საომარ ქმედებაში გადაიზარდა და უკვე ცხადია, რომ მალე „პირველი სისხლიც“ დაიღვრება. ეს, ვინ დაზარალდება, ამას დროს გვიჩვენებს.

სამველ ღარიბიანი

სამეფო რბოლების ლეგენდა 7

ფილ ჰილი

დაიბადა 1927 წლის 20 აპრილს მაიამიში, ფლორიდის შტატი (აშშ)
ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1958-1966 წლებში
მსოფლიოს 1961 წლის ჩემპიონი („ფერარი", 38 ქულა)
1958 – მეათე ადგილი, 9 ქულა
1959 – მეოთხე ადგილი, 20 ქულა
1960 – მეხუთე ადგილი, 16 ქულა
1962 – მეექვსე ადგილი, 14 ქულა
1963 – ხუთი რბოლა, 0 ქულა
1964 – ცხრა რბოლა, 1 ქულა
1965 – არ გამოსულა
1966 – ერთი რბოლა, 0 ქულა
მოიგო სამი დიდი პრიზი: იტალიის (1960, 1961) და ბელგიის (1961)
48 რბოლა, 16 (3+5+8) პოდიუმი, 6 პოული, 6 უსწრაფესი წრე, 1 დიდი სლემი, 98 ქულა
გუნდები: „მაზერატი" (1958), „ფერარი" (1958-62), „კუპერ კლიმა" (1960, 64), ATS (1963), „იგლ კლიმა" (1966)

ფორმულა 1-ის გარიჟრაჟზე ევროპაში უკვე საკმაოდ პოპულარულ ამ რბოლებისადმი ოკეანის გადაღმა ინტერესს თითქმის არ იჩენდნენ. ამერიკელებს მზე და მთვარე ხომ მხოლოდ საკუთარზე ამოსდით, თავიანთ ოვალურ ტრეკებზე ჯირითი ყველაფერს ურჩევნიათ.

თუმცა მათ შორისაც იყვნენ „თეთრი ყვავები", რომლებსაც უკვე 50-იან წლებში „სამეფო რბოლები" უფრო აინტერესებდათ და ბედის საძიებლად ბევრი კონტინენტისკენ დაიძრნენ. პირველი დესანტიდან აღსანიშნავია ის რამდენიმე მძღოლი, რომელთაც ამხელა გზა ტყუილად არ გამოუვლიათ და ფორმულის ისტორიაში ღრმა კვალი დატოვეს. „მოღალატეთა" შორის გამოირჩეოდნენ მორიდებული აყლაყუდა დენ გარნი, ბიჭურგამოხდომებიანი რიჩი გინტერი, სოლიდური, სათვალიანი მასტენ გრეგორი, ბუნებით წყნარი და ღირსეული, მუდამ პირდაპირი ფილ ჰილი...

მათგან ყველაზე წარმატებული, მდიდარი მელომანი ჰილი თითქმის ოც წელიწადს რჩებოდა ფორმულა 1-ის ერთადერთ ამერიკელ ჩემპიონად. 1978 წელს მისი გზა გაიმეორა იტალიელი ემიგრანტის შვილმა მარიო ანდრეტიმ.

ფილი დაიბადა 1927 წელს მაიამიში, საფოსტო უწყების მოხელის ოჯახში. მალე მამამისი დააწინაურეს და ჰილები კალიფორნიაში, ლოს ანჯელესის ფეშენებელურ გარეუბან სანტა მონიკაში გადასახლდნენ.

12 წლის ფილს მოულოდნელი სიმდიდრე დაეცა თავს — მარტოხელა დეიდამ 30 000 დოლარი და დიდი ვილა დაუტოვა. ბიჭს თავიდანვე ორი რამ იტაცებდა — მუსიკა და განსაკუთრებით, მანქანები. წყნარი და მორიდებული ახალგაზრდა აქტიურად ყველაფერს ივიწყებდა, როგორც კი მის ხელთ ავტორბოლებისადმი მიძღვნილი ჟურნალი აღმოჩნდებოდა. იგი უკვე იცის შეხრულდა, თუმცა მაინც ისევ ის რამდენადმე არარეალურ სამყაროში ცხოვრობდა, სადაც მისი მეგობრები იყვნენ: ბეთჰოვენი, ვივალდი და... საავტომობილო წიგნები. ფილი ორი წელი ჯაზორკესტრში საყვირზე უკრავდა, მაგრამ მაინც მუსიკის მოსმენა უფრო სიამოვნებდა, ვიდრე საკუთარი დაკვრა. კალიფორნიის უნივერსიტეტში უცხო ენებს სწავლობდა, ოღონდ მხოლოდ იმიტომ, რომ წაეკითხა ფრანგული, იტალიური, გერმანული საავტომობილო გამოცემები.

ომი გადაიარა და ჰილიც შესაძლოა, მდიდარი უსაქმურად დარჩენილიყო, 1952 წელს საფრანგეთში ლე მანის სახელგანთქმული 24-საათიანი რბოლა რომ არ ენახა. ამ მარათონულმა შეჯიბრებამ იგი სწორედ რომ შეძრა. ამერიკელის გული ამიერიდან იტალიურ „ფერარის" ეკუთვნოდა. შტატებში დაბრუნებულმა „წითელი" სატანის იტალიური წარმომადგენლის ლუიჯი ჩინეტისგან შეიძინა არცთუ ახალი „ფერარი 212 ბარჩეტა" და მალე რბოლებში გამოსვლაც სცადა.

იმავე წლის პირველი გამარჯვება მოიპოვა მონტერეის საგრაფოს პებლ ბიჩში. შემდეგ კარგა ხანს თავის მეგობარ გინტერის მხარდამხარ დაჯირითობდა სპორტული პროტოტიპებით მარათონულ რბოლებში და არაერთ წარმატებასაც მიაღწია — პირველი პრიზები დაისაკუთრა მეხიკოში, შვედეთში, ვენესუელაში, პალმ სპრინგში (კალიფორნია).

ნიჭიერი იანკის წარმატებებმა, ცხადია, დააინტერესა სპეციალისტები, მათ შორის ჩინეტიც, რომელმაც მაშინვე აცნობა ამის შესახებ ენცო ფერარის მარანელოში, არის ერთი საინტერესო ბიჭი, რომლის ხელიდან გაშვებაც არ ღირსო. კომენდატორემ ლუიჯის დაუჯერა და ჰილი „სკუდერიაში" ჩაირიცხა, ოღონდ სამსეზონიანი გამოსაცდელი ვადით, ანუ თუ დონ ენცოს ახალწვეულის შედეგები არ გააწბილებდა.

ფილმა გამოცდას გაუძლო და 1958 წლის საპირველფორმულო ჩემპიონატშიც ჩაება. ეგაა, მას დებიუტი საფრანგეთში „რეიმსის" ტრასაზე „მაზერატის" ბოლიდით ჰქონდა (მეშვიდე ადგილი), მერე კი „ფერარიში" გადაჯდა და ორპოდიუმიანი სეზონი ათეულში დაასრულა.

მომდევნო ისე-რა ორი ჩემპიონატის შემდეგ, ჰილის „ოქროს წელი" დადგა, თუმცა ტრიუმფი სამწუხაროდ, გამორჩეულად სისხლიან-ტრაგიკული გამოვიდა.

სკუდერიელებმა ახალი მოდელი გამოაჯირითეს — ზვიგენის ცხვირიანი „ფერარი 156", რომლითაც ენცოს ბიჭებმა შვიდიდან ხუთი რბოლა მოიგეს და ვადამდე გაინაღდეს კონსტრუქტორთა თასი, ანუ გუნდური პირველობა. პირადშიც ტიტულს ფერარელები — გერმანელი გრაფი ვოლფგანგ ფონ ტრიპსი და ფილ ჰილი ეცილებოდნენ ერთმანეთს.

დადგა 10 სექტემბერი, მილანის მახლობლად „მონცაზე" იტალიის დიდი პრიზის გათამაშების დღე. ფონ ტრიპსი ოთხი ქულით წინ იყო ფილზე და რაკი საერთო ჩათვლაში მხოლოდ ხუთი საუკეთესო რბოლის შედეგი შედიოდა, ორი ეტაპის მოგებ და ორჯერაც მეორეადგილოსან გრაფს ბევრიც ალარაფერი აშორებდა ტიტულთან. მან წინადღეს კვალიფიკაციაც მოიგო და სტარტზე ყველაზე წინ იდგა, მაგრამ დაწყების ნიშნისთანავე უსწრაფესად ჰილი დაიძრა და მალე 32-მანქანიან ქარავანს თავში მოექცა.

ამდენად, არ დაუნახავს ის კოშმარი, რომელიც მის უკან, უკვე მეორე წრეზე მოხდა. ახალბედა ბრიტანელ ჯიმ კლარკის „ლოტუსთან" შეჯახებისგან ფონ ტრიპსის გზააბნეულმა „ფერარიმ" დამცავი ბარიერი გაარღვია და და 14 მაყურებელი იმსხვერპლა. გერმანელი მრბოლი გონსმოუსვლელად გარდაიცვალა საავადმყოფოს გზაზე.

რბოლა არ შეწყვეტილა. დასაწყისშივე ექვსი მანქანის გამოთიშვის შემდეგ ქარავანს შემორჩენილმა 26-მა პილოტმა გზა გააგრძელა, სტიუარდები კი გაჭყლეტილებს აფარებდნენ, რაც ხელთ ჰქონდათ — გაზეთებს.

ჰილს ბოლომდე არ დაუთმია მეწინავეობა და ფინიშთან პირველი მიიჭრა, რამაც ჩემპიონობა მოუტანა. მომხდარი ტრაგედიის შესახებ მან მხოლოდ სამსაფეხურიანი პოდიუმის შემდეგ შეიტყო: „ბოქსებთან ჩავლისას კი შევამჩნიე, რომ მანიშნებელი ფირნიში ტრიპსისთვის არ გამოუფენიათ, მაგრამ, ტრაგედიის შესახებ არაფერი ვიცოდი. ფინიშის შემდეგ „ფერარის" მთავარ ინჟინერ კარლო კიტის ვკითხე ვოლფგანგზე, პასუხად მან რაღაც გაუგებრად წაილუღლუღა. მისი სახით მივხვდი, რომ რაღაც ცუდი მოხდა, მაგრამ სიმართლე მხოლოდ პოდიუმის შემდეგ მითხრეს. სიტყვებით ამის გადმოცემა შეუძლებელია. თითქოს მხიარული, გასხივოსნებული დღესასწაულის შემდეგ უეცრად სიბნელე ჩამოწვა — აბსოლუტური, სამუდამო."

სამწუხაროდ, ეს უსიხარულო ტრიუმფი ფილისთვის გედის სიმღერა აღმოჩნდა. მომდევნო სეზონში სულ რაღაც 14 ქულა და ჩემპიონისთვის უკადრისი მეექვსე ადგილი, თანაც კომენდატორესთან გართულებული ურთიერთობა მისი მოხსნის მიზეზი გახდა:

„ბატონო ჰილ!

ზოგიერთი ტექნიკური სირთულეების მიზეზით „ფერარი" ვერ მიიღებს მონაწილეობას მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის ბოლო ორ რბოლაში — აშშ-სა და სამხრეთ აფრიკაში.

ამასთან, ვთვლით ჩვენს მოვალეობად გაცნობოთ, რომ გუნდს აღარ ესაჭიროება თქვენი სამსახური."

წერილს ხელი მოაწერა ეუჯენიო დრაგონიმ, „წითლების" ახალმა მენეჯერმა, თუმცა, აშკარა იყო, რომ ეს გადაწყვეტილება ენცო ფერარიმ მიიღო. ამბობენ, ლეგენდარულმა კომენდატორემ ფილი, ისევე როგორც შემდეგ სხვა არაერთი ჩემპიონიც, გამოყენებული საბურავივით გადააგდოო. ცუდი ნათქვამია, მაგრამ რეალობისგან არც ისე შორსაა.

ჰილი ამის შემდეგ კანტიკუნტად გამოდიოდა რბოლებში პრივატნული გუნდების შემადგენლობაში. უფრო ხშირად და წარმატებითაც ორადგილიანი მანქანებით დაჯირითობდა. კარიერა 1967 წელს დაასრულა, კუჭის წყლულის ოპერაციის შემდეგ. ერთხანს ტელეკომენტატორად მუშაობდა, მერე ძველი მანქანების რესტავრაციით იქცევდა თავს. 90-იან წლებში არაერთხელ გამოჩენილა ინგლისსა და იტალიაში ისტორიული ბოლიდების ტრადიციულ დღესასწაულებში მონაწილეობის მისაღებად.

გია ახალაძე

1961. ფილ ჰილის ტრაგედიული ტრიუმფი

საჩემპიონო, ზვიგენისცხვირიანი „ფერარი 156"

„მშვიდი კალიფორნიელი" ევროპაში ერთ-ერთ ბოლო სტუმრობისას

ეს დედამიწვილებს გაუმარჯოთ!

სერენა უილიამსი



AFP მაიამიდან

ვინუს უილიამსი

NASDAQ-100 OPEN

მაიამი. მაგარსაფარი

კაცები. საპრიზო 3,2 მლნ. $

მეხუთე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **მარიო ანჩიჩი** (18, ხორვატია) 6:3 4:6 6:4; **ტიმ ჰენმანი** (6, ბრიტანეთი) — **რადეკ შტეპანეკი** (23, ჩეხეთი) 7:5 6:3; **ანდრე აგასი** (9, აშშ) — **გასტონ გაუდიო** (7, არგენტინა) 7:6 (9:7) 6:2; **რაფაელ ნადალი** (29, ესპანეთი) — **ივან ლიუბიჩიჩი** (13, ხორვატია) 6:4 6:7 (5:7) 6:3; **ტომას იოჰანსონი** (25, შვედეთი) — **ირჟი ნოვაკი** (24, ჩეხეთი) 7:6 (7:2) 6:2; **დიმიტრ ჰრბატი** (26, სლოვაკეთი) — **გელ მონფი** (საფრანგეთი) 6:3 6:3; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) — **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) 6:7 (7:9) 6:3 7:5; **ტაილორ დენტი** (აშშ) — **ფლორიან მაიერი** (გერმანია) 6:3 6:4

ქალები. საპრიზო 3,115 მლნ $

მეოთხედფინალი

მარია შარაპოვა (2, რუსეთი) — **ჟუსტინ ენენ-არდენი** (19, ბელგია) 6:1 6:7 (6:8) 6:2; **ვინუს უილიამსი** (8, აშშ) — **სერენა უილიამსი** (3, აშშ) 6:1 7:6 (10:8)

დღის უმთავრეს მოვლენად, როგორც ვვარაუდობდით კიდეც, უილიამსდათა ოჯახური იქცა, ეგ მით უფრო, რომ მამა რიჩის გოგონები ერთმანეთს 2003 წლის უიმბლდონობის მერე აღარ შეხლოდნენ, ვინუსს კი სერენასთვის უკვე საშწლინახევრის განმავლობაში ვეღარ მოეგო.

რაღა ბევრი შევაშესავლოთ, ეს ათი მე-13 თამაში იყო და 2002-03 წლებში ნაწვნევი ზ ედიზედ ექვსი მარცხის შემდეგ ვინუსმა — რავარც იქნა — დაიკოსთვის ჩოგნის შებრუნება მოახერხა.

შეგახსენებთ, რომ ეს 6-მოგებიანი სერია სერენამ შარშანწინისწინ სწორედ მაიამობაზე დაიწყო და მერე დას მიაჯრით ხუთ სლემფინალში ავდობა. საკუთრივ კობისკეინში კი უმცროსმა უილიამსდამ მომდევნო წლებშიც იხეირა და ვინუსთან წაგებულ მატჩს ტურნირის მეოთხედ მოგების შესაძლებლობაც გაატანა.

ახლა ვინუსი ნორჩ რუსგოგო მარია შარაპოვას შეერკინება, ვინაც თავის მხრივ გუშინ ძველებურად შეუპოვარ, გაუჭყლეტ და ცბიერ, თუმც ჯერაც ფორმა-ვერ-აღდგენილ ჟუსტინ ენენ-არდენს მოერია. 17 წლის მაშა თავისზე ხუთი წლით უფროს მეტოქეს 6:1 4:1 უგებდა და ტრიბუნებზე მსხდომთ უკვე სკამებზე წრიალი დაიწყეს, ჩვენთან კი, ვისაც დენი ჰქონდათ, ტელევიზორებთან ჩასავარძლებულებმა ალბათ 202-ზე გადართეს, რათა ლევან ბერძენიშვილისთვის ეცქირათ. მაგრამ სწორედ ამ დროს მაჯლაჯუნა ჟუსტინმა ბრჭყალები გამოაჩინა და მის-სიგრძე-ფეხება მაშას წვივებში ჩაასო. მაშაც აღელდა და 5:4-ზე ერთბაშად სამი მატჩბურთი დაახაია. ხოლო როცა ბელგოგომ სეტის მითლაც შეძლო, ნელი-ნელ დაღლილობა შეეპარა და ღონივრად მკვნესარ-მოგლაჯუნე შარაპოვას წინააღმდეგ ველარაფერი გააწყო.

სხეაფრივ — კაცთა შორის უგამონაკლოდ გაიმეოთხედფინალეს ტურნირს შთენილმა ფავორიტებმა, ამქრის ფასკუნჯმა ფედერერმა და ქურუმმა აგასიმ. ფასკუნჯი მეორე სეტში ამ ჯერზეც კვლავაც მოწყვლად მეჩოგნეს ჰგავდა, მაგრამ მის ბუნებაში ისევ უკვდავმა საწყისმა სძლია მოკვდავს. გორან ივანიშევიჩთან მსგავსების გამო გორანიშვილად წოდებულმა მარიო ანჩიჩმა, ვისაც ფედერერი 2002 წლის უიმბლდონობის პირველ წრეში შეუმუსრავს, იმავის გამეორება ვეღარ შეძლო და იმასდა დაჰყაბულდა, რომ მას ერთი სეტი მაინც გაგდებინა. ასეთი, ზორბად მომწოდებელი და მძლავრად მობრახუნე მეჩოგნეებთან ფასკუნჯს ნიადაგ უჭირს ხოლმე, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ყველაფერი ისევ მის სასარგებლოდ სრულდება. ეს მისი 29-ე საამსეზონო გამარჯვება გახლდათ და ბარემ აქვე მოგგონებთ, რომ წლეულს მხოლოდ ერთხელ, ავსტრალიობის ნახევარფინალში ალეულა (მარატ საფინისგან).

რაც შეეხება 35-ს მიღწეულ არმენოამერიკელს, მას პირველ სეტში ერთხელ გაუჭირდა მისდამიდვე უკანახახიდან მოხანგრძლივად-კეჭნაკე გასტონ გაუდიოსთან შარშანდელი როლანგარიოსის ჩემპიონი ამქრის ქურუმს ტაიბრეიკამდე მართლაც მძაფრად ებრძოლა, მაგრამ მერე ბელს შეურიგდა და ჩოგანი მოკაკვა.

ტურნირის ექვსგზის გამარჯვებული ახლა ხარიეთ იეტისკენ ტილორ დენტს შეხვდება, ვინაც წლეულს რიგიანად ბერიოთის და გუშინაც ოლად გასცდა შარშანდელი სეზონის საუკეთესო ახალბედად მიჩნეულ გერმანელ ფლორიან მაიერს.

სხვა კი რაღა — ელასა, ტყლასა, ჭიქა მეკიდა ყელასა, ჭირი იქა, ლხინი აქა, გრიჟა იქა, ვაჟა აქა

არტემ ჩაჩანიძე

მონტოია — აუტ!

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

გუშინ გაირკვა „მაკლარენის“ პილოტ ხუან-პაბლო მონტოიას ამბავი. კოლუმბიელი მეფორმულე რამდენიმე დღის წინ ჩოგბუროის თამაშისას დაეცა და მხარი ისე დაუშავდა, ამბიბდნენ, ძვალი გაებზარაო.

ბრიტანული საკანონიბოს განცხადებით, ტრავმა არც ისე ძნიმე გამოდგა, მაგრამ რადგან პოლიდის მართვაში პრობლემებს შეუქმნის, ექიმებმა მონტის მოშავალ შაბათ-კვირას ბაჰრეინში გაკარიიების ნება არ დართეს.

ამასთან ამედოვნებენ, რომ ადრე ნაკარაუდევი ხანგრძლივი ძკურნალობა საჭირო არ გახდება და ხუანი 24 აპრილს სან მარინოს დიდი პრიზის გათამაშებაში გამოვა. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ბაჰრეინში მის ადგილს დაიკავებს ესპანელი პედრო დე ლა როსა, რადგან ვერ მოახწრებენ „მაკლარენს“ მეორე ტესტ-მძღოლის, აყლაყუდა 1992 სმ1 ავსტრიელ ალექსანდრე ვურცს კოკპიტი მოარგონ.



2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. გუშინ

I ჯგუფი

ანდორა 0:4 ჩეხეთი

მაკედონია 1:2 რუმინეთი

ჰოლანდია 2:0 სომხეთი

III ჯგუფი

ესტონეთი 1:1 რუსეთი

ლატვია 4:0 ლუქსემბურგი

სლოვაკეთი 1:1 პორტუგალია

IV ჯგუფი

შვეიცარია 1:0 კვიპროსი

ისრაელი 1:1 საფრანგეთი

V ჯგუფი

მოლდოვა 0:0 ნორვეგია

სლოვენია 1:1 ბელარუსი

VI ჯგუფი

პოლონეთი 1:0 ჩრდ. ირლანდია

ავსტრია 1:0 უელსი

ინგლისი 2:0 აზერბაიჯანი

VII ჯგუფი

ბოსნია 1:1 ლიტვა

სან მარინო 1:2 ბელგია

სერბეთი 0:0 ესპანეთი

VIII ჯგუფი

ხორვატია 3:0 მალტა

უნგრეთი 1:1 ბულგარეთი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია. II საკვალიფიკაციო წრე. III ტური

A ჯგუფი

სამხრეთ კორეა 2:1 უზბეკეთი

ძუვეითი 0:0 საუდის არაბეთი

B ჯგუფი

ჩრდილოეთ კორეა 0:2 ირანი

იაპონია 1:0 ბაჰრეინი

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

გადადებული მატჩები

ჰამბურგი (მ) 0:2 არმინია (მ)

ჰერტა (მ) 2:0 ვერდერი (მ)

კიოლნი (მ) 1:1 დიუსელდორფი

სერბეთი

პირველ ლიგა

გადადებული მატჩი

რადნიჩკი 3:0 ზეტა

ამხანაგური მატჩები

იტალია 0:0 ისლანდია



AFP ბომბეიდან

ორივე

ინდოელი მობილიარდე პანკაჯ ადვანი ისტორიაში მეორე კაცი შეიქნა, რომელსაც სნუკერის მსოფლიო ჩემპიონობაც მოუგია და სამოყვარულო ბილიარდის მსოფლიო ჩემპიონობაც. აქამდე ასეთად მხოლოდ მალტელი პოლ მიფსუდი იყო, რომელიც ჯერ სნუკერში იყო პირველი, მერე კი ბილიარდში.

REUTERS ბომბეიდან

დიეგო და პრეზიდენტები

გვიანაში სამხრეთამერიკელ პრეზიდენტთა სამიტია. იქ კი დიეგო მარადონა გამოცხადდა. ამან ყველა გააოცა, ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი კი არა: წინდაწინვე ყოფილან შეთანხმებულნი.

სულ ზევით ზევით

ვიჯ იპატ სინგანია, ინდო მეწარმე და ავიატორი ბომბეიში ... საგმირო საქმეზე მოუთხრობს ხალხს. 5 ნოემბერს ეს 21 ათას მეტრზე აფრინდება თავისი საჰაერო ბურთით და ამით პეტერ ლინდსტრანდის რეკორდს დაამხობს, რომელიც 19,811 მეტრს შეადგენს. 67 წლის სანგანიას ადრეც ჩაუდენია არაერთი გმირობა: მაგალითად, 22 დღეში ჩაფრენილა ლონდონიდან აჰმედაბადში.



AFP ბომბეიდან

მზადება დიდი პრიზისთვის

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ჯონ ანდერსონი სულ ახალ მანქანაში ზის და კარგ ხასიათზეა. ეს მანქანა საერთაშორისო რბოლების, A1-ის დიდი პრიზის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას, ხოლო დიდი პრიზის პირველი რბოლა წლეულს სიდნეიში მოეწყობა. იქვე ჩამუხლულა A1-ის დიდი პრიზის თავკაცი შეიხ მაკთუმ ჰაშერ მაკთუმ ალ-მაკთუმით, ხოლო შორიახლოს კი დგანან A1-ის დირექტორი ტონი ტეიშეირა და ფორმულა 1-ის ძველი ჩემპიონი ალან ჯოუნსი.



REUTERS სიდნეიდან

ლენსდაუნ როუდზე

დუბლინის „ლენსდაუნ როუდზე" ამხანაგური მატჩია: ირლანდია ჩინეთს მასპინძლობს. ჩინელი გულშემატკივრები კი აქაც მრავლად არიან.

AFP დუბლინიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა აუზბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: ლ. ვით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი,
გიორგი ...
...

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე
ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლუეწვაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოხალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge